სახალხო გაზეთი

№ 1026 პარასკევი, 25 ოქტომბერი 1913 წ. № 1026

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ.
ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

სახალხო გაზეთი

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველ ოქტომბრიდან წლის ბოლომდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს **2 მ. 25 კ.**

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети“ Почт. ящ. 190.

გაზ. „მშაკის“ რედაქცია გამოუთქმელი მწუხარებით იუწყება რედაქტორ-გამომცემლის

ალ[illegible] [illegible] ძის ქალანთარის

უეცრად გარდაცვალებას, რომელიც მოხდა 20 ოქტომბერის ნაშუადღევის 12½ საათზე. პანაშვიდი დანიშნულია დღეს, 25 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, საკუთარ ბინაზე. ქუჩა № 5. დაკრძალვა შაბათს, 26 ოქტომბერს, ხოჯივანქის სასაფლაოზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან, გრიბოედოვის ქუჩა, № 5. დილის 10 საათზე.

1548

ქართული თეატრი

კვირას, 27 ოქტომ., ქ. შ. წ.-კ. გ. ს. გამგეობის თაოსნობით გაიმართება

ილიას საღამო.

I

სალიტერატურო-სამუსიკო განყოფილება.

მონაწილეობენ: გ. ნათაძე, ნიკ. ერისთავი, ნ. დავითაშვილის ასული, კ. შალიკაშვილი და ი. გრიშაშვილი.

II

„კაცია-ადამიანი“,

სასცენოდ გადმოკეთებული შალ. დადიანის მიერ.

მონაწილეობენ: ქ-ნნი: დავითაშვილი, ჯავახიშვილი. ბ-ნნი: არადელი-იმხნელი, გუნია და სხვა.

III

საკონცერტო განყოფილება.

მონაწილეობენ: „ახალ კლუბის“ გაძლიერებული ორკესტრი ბ. პრესმანის ლოტბარობით, ქ-ნი კოლოტოვისა, დიდმელაშვილი და სხვანი. 1533

ქუთაისის ქალაქის თეატრი

კვირას, 27 ოქტომბერს, ქართველთა შორის, წერა-კითხ. გამავრცელ. საზოგადოების ქუთ. განყოფილების თაოსნობით გაიმართება ჩვეულებრივი

ილიას საღამო.

წარმოდგენილი იქნება ილია ჭავჭავაძის

კაცია-ადამიანი

ქ-ნნი ელ. ჩერქეზიშვილისა და ცპიტაშვილის ასულისა, ბ-ნნი ყალაბეგაშვილისა და ცაციშვილის მონაწილეობით.

გარდა ამისა საღამოში მონაწილეობას მიიღებენ: **კიტა აბაშიძე**, კლასიკური მუსიკის ხელში გამავრცელებელი **ელიკო ქურხული**, ცნობილი ვიოლონჩელისტი **კოპელნიცკი**, ქ-ნი ციციშვილის აკომპანიმენტით და ქუთაისის მომღერალთა გუნდი. სცენის ფონზე ნაჩვენები იქნება **ილიას ძეგლი** მთაწმინდაზე **ცოცხალ სურათად**. დაწვრილებით პროგრამებში.

შემოსავალი ფასი **საბუნეფისოდ**. 1550

ქმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

შაბათს, 26 ოქტომბერს, ქართულ სახ. წარმოდგ. მმართ. წრის მიერ, მსახიობის **მარო მდივნის** ასულის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება პიესა

დღენი ჩვენი ცხოვრებისა,

4 მოქ. ლ. ანდრეევისა.

მონაწ. მიიღებენ ქ-ნნი: ინკარა, ბარველი, გოგოლაშვილი, მ. მდივნის ასული, კახელი, ელ. ციმაკურიძე; ბ-ნნი: არშაკუნი, ანაშვილი, ადამია, ნ. გოცირიძე, მინდიაშვილი, მეტრეველი, ნინიძე, ს. რომანიშვილი, სალაყაია, თუხარელი, კაკაბიძე, ქიაურელი, პუმბურელი, ნ. ჭანკვეტაძე, კ. ხახანაშვილი და სხვანი.

ადგილების ფასი 5—50 კ. ✦ **დასაწყ. საღ. 8 ს.**

1586 რეჟისორი ალ. წუწუნავა. თეხაზ. ჭანკვეტაძე. „წრის“ ადმინისტ.

პირველ-ხარისხოვანი

დიდი ცირკი

ძმ. ესიკოვსკებისა



მიხეილის პროსპ., მუშტაიდ, შესავალთან, ნ. კუნდუროვის ადგილზე

დღეს, 25 ოქტომბერს, 1913 წ. გაიმართება

დიდი წარმოდგენა

მე-6 დღე გამოჩენილ ფალავანთა ფრანგულ **ჭიდაობისა**. ეს ჭიდაობა მოწყობილია პეტერბურგის „ვესტნიკ სპორტის“ რედაქციისაგან და მოხდება თვით რედაქტორის **ნ. ი. პეტროვის** ხელმძღვანელობით.

დღეს ჭიდაობენ: **ზალევსკი და ვეიმანი; საბოლოო შეჯიბრება კოსტა მაისურაძესა და ციმსონს; ლუკა ლოჟეგი და მუხამბური; ბელი ხულეიმანი და პუგაჩოვი.**

ჭიდაობა 9-ნახევარ ს.

746 **დასაწყ. საღამ. 8 საათზე.** დირექცია **ძმ. ესიკოვსკებისა.**

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

წიგნები: ისტორიისა, საეკლესიო და საისტორიო მასალები:

ჭავჭავაძე ი. ჩვენი ისტორია	35 კ.
ქუთაისი. ისტორიული ნარკვევი	1—50 „
ქიქინაძე ზ. ისტორია ქართ. ჟურნ.-გაზეთებისა	15 „
— კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში	50 „
— „ „ ბათომში	10 „
— კათოლიკეთა ეპისკოპოსის მობრძანება საქართველოში	10 „
— მესხეთ-ჯავახეთის გათათრება	10 „
— სოლომონ ლეონიძე	10 „
— ქართ. კათოლიკეთა სასულ. მოღვაწენი და მესხეთ-ჯავახეთის ცნობა	25 „
— ქართვ. კათოლიკეთა ვაჭრობა	30 „
— ქართვ. კათოლ. ყველი ასპარეზზე	25 „
— ქართული სტამბა	10 „
— საქართველოს ცხოვრება	1 მ.—
— მუსულმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში	60 „
— ისტორია ოსმალეთის ყოფილი საქართველოსი	50 „
ახალი წიგნები:	
ურის სულის შეფე, ლეგენდა, რუხაძე	5 „
ბაირონიზმი და ოსმალოს მწუხარება	25 „
ბოველის მხრიდან, ლომაურისა	10 „
გენეალოგია დიდი ალექსანდრე მეფისა	30 „
საქართველოს გმირი გიორგი სააკაძე	80 „
Списокъ пьесъ на груз. языкѣ разрѣшенныхъ къ представленію	40 „

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1913

„განათლების“ საზოგადოების

წევრთა წლიური საზოგადო კრება

დანიშნულია **კვირას, 27 ოქტომბერს, შუადღის 12 საათზე.**

კრება მოხდება სკოლის შენობაში,

სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩა, სახლი № 6. 743

ქართული თეატრი

ანონსი.

დავ. კლდიაშვილის საღამო.

ანონსი. **გაიმართება 12 ნოემბერს.**

1591

ქ-ნი პორტუგალოვისა

აცხადებს, რომ

საფეხრიკო მაღაზიაში, რომელიც ნიკოლოზის ქუჩაზე № 23—24 არის,

ზამთრის სეზონის ტოახლოვებისა გამო დანიშნულია

დიდი ვაჭრობა

მამაკაცთა, ქალებისა და ბავშვების ტანისამოსისა.

30 პროც. დააკლდება ფაბრიკის ფასს.

ვიმედოვნებ, ვინც ჩვენს მაღაზიაში იყიდის, კმაყოფილი დარჩება. ამასთანავე მოგახსენებთ, რომ მაღაზიას ყოველ კვირა მოსდის ახალ-ახალი საქონელი რომელიც ძვირად არ იყიდება.

1491 პატივისცემით ქ-ნი პორტუგალოვისა.

საზოგადოება „კახეთი“-ს გამგეობა

ამით აცხადებს, რომ

პარასკევს, 8 ნოემბერს,

მდგომარე 1913 წლის, საზოგადოების სადგომში **(გოგოლის ქუჩა 63), დილის თერთმეტ საათზე, დანიშნულია**

საგანგებო კრება.

განსახილველია შემდეგი საკითხები:

1) **ინსტრუქცია ღვინის დაფასება მიღებისა,**
2) **წესდების ზოგიერთი მუხლის შეცვლისა**
და 3) **შიდა ადმინისტრატიულ წესების მოგვარებისა.**

კრება კანონიერი იქნება, რამოდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს. 1549

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მალალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1 ს. **ფიდოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. **ექ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს.
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკოვიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირალოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულბ.	**ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½, **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1 **ფიდოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ.	**ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1 **ფონდოევი გ ს.** ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. **ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wassermann.** რჩევისათვის 50 კ. საწოლი 2 მ. **დაწყებული.** ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით, ღირს 40 მ. დაწყებული ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, **„606“და „914“ წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი სადღეღამიოთ. ფ. 1466

ტფილისის საპოლიტექნიკო კურსები

ინჟენერ მ. ნ. ვინოგრადოვისა.

განყოფილებანი: სამიწად-მზომელო, საამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო და კომერციული. სამიწად-მზომელო და საამშენებლო განყოფილებებზე მსურველთ იღებენ. **მეცადინეობა 7 ოქტომბერს** დაიწყო. მოწაფეების მიღება გრძელდება. კურსებზე იღებენ სამოქალაქო სასწავლებელში სწავლა დამთავრებულთ გამოუცდელად, დანარჩენებს კი გამოცდით. კურსები იმყოფება სასულიერო სემინარიის ძველს შენობაში. 712

მოითხოვეთ ყველგან

ყოველკვირეული

ჟურნალი

წლიურად 3 მან. **ფასი 5 კაპ.**

ელექტრონის, რენტგენის სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ნერვებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1468

ბერლინის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა

გ. მეჯრაბიანცი

დაბრუნდა უცხოეთიდან და განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება. სნეულებანი ფილტვებისა—**ჭლექი**—და გულისა შეთანაწყობილი სპეციფიური **ტუბერკულინური** წამლობა. ხელოვნური **პნევმოტორაქსი. რენტგენის ულტრაიისფერი სხივებით ფილტვებისა და გულის გაშუქება.**

ყოველ დღე, 9—1 საათ. და საღამოს 5—7 საათ. კვირაობით 9—12 საათ.

9—10 სათ. **საწყლებს უფასოდ.**

ბებუთოვის ქ. სახ. 23. ტელეფონი 7—92. 1516

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენ გან მიცემულ კვიტანციისა. წ. 122

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ხ. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან- ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა.-ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

ექ. ქალი ოთხელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

ნ. მ. მელიქიშვილი ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

მ. მ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606“-ით

1462

ექიმი ვ. ა. მიქელაძე

15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117 ტელეფონი 816.

ექიმი ვ. მუსხელიშვილი

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ექიმი ვ. მ. ძე მანსვეტაშვილი

გადავიდა ახალ სადგომში. ოლღას ქუჩა, სახ. მელიქ-აზარიანცისა, № 3. შინაგანი, ძარღვების და ბავშვების ავადმყოფობათა. იღებს 10—12 დილით, 6—7 საღამოთი. ტელეფონი № 16—02. 707

ექიმი ი. ზ. ბძელიშვილი

სწამლობს შინაგან, თვალისა და ბავშვთა ავადმყოფობას დილით 9—12 საათ., 5—7 სათ. საღამოს 19 თებერვლის ქ. (რიყის ქ.) № 17, ტრამვაის გაჩერებელთან, მასიონერთა ახალ ეკლეს. გასწვრივ. 688

ექიმი ივ. გომართელი

ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფთა მიღება დილის 8—12 საათ. საღ. 5—7 საათ. ოლგას ქუჩა, № 20. ტელ. 633. 654

ექიმი პ. ლ. კიკალიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5½ საათიდან 7 საათამდე. კახეთის ქუჩა **№ 2,** ტელეფონი 15—27. 1502

ექიმი ე. ი. მინასიანცი

იღებს ყოველ დღე, შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლევთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ ნაკლულ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) ჭლექ. და დამპალი ციება

პარიზულ კლინიკ. პროფ. Mathieu. **იღებს** დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. ტფილისი, მიხეილ. ქ. № 86, ტელ. № 576. 1071

დოქტორი მედიცინისა

გ. ა. ახვერდოვი,

პეტერბურგის სიფილისისა და ვენერიულ ავადმყოფობათა კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს საშარდის, ვენერიულსა და სიფილისიან ავადმყ. დილ. 10—11 ს., საღ. 6—8 ს. **სემიონოვის ქ., № 18,** (ვორონცოვის ძეგლის მახლობ.), ექიმ. ბინა—სემიონ. ქ., № 16. 1159

ექიმი კბილისა პ. მ. მუმულია-კუხალაიშვილი

იღებს დილით 9—2 საათამდე, საღამოს 4—7 ს. ანდრეევის ქუჩა № 81, ვაგზლის ახლო. 697

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **მეფის მოადგილის თანაშემწე სენატორი ე. ა. ვატაცი** კვირას, 27 ოქტომბერს, პეტერბურგს მიემგზავრება. როგორც გავიგეთ, მას სახელმწიფო საბჭოს წევრად ნიშნავენ.

✦ **ზუბალაშვილის სახელობის საბავშვო საავადმყოფოს** კურთხევა, რომელიც 27 ოქტომბრისთვის იყო დანიშნული, 3 ნოემბრისთვის გადაიდო.

✦ **სასამართლოს რეფორმა კავკასიაში.** მეფის მოადგილემ შეიმუშავა ახალი კანონ-პროექტი, რომლითაც შემოღებულ იქნება ახალი შტატი გამომძიებლებისა და მომრიგებელ მოსამართლეებს აღარ დაეკისრებათ ხოლმე გამოძიება, როგორც ეს ეხლა არის ზოგიერთ ადგილას, სადაც ცალკე გამომძიებელი არ არის. ამ კანონ-პროექტით წესდება ტფილისის ოლქში—28 ადგილი გამომძიებლისა, ქუთაისისაში—26, ბაქოსაში—30, განჯისაში - 28 ერევნისა და ეკატერინოდარში სამ-სამი. მომრიგებელ მოსამართლეთა რიცხვი იქნება: ტფ. ოლქში—47, ბაქოსაში—37, ქუთაისისაში - 48, 20 განჯაში, 22—ერევანში და 9 ეკატერინოდარის ოლქში.

✦ **საქართველოს სამიტროპოლიტოს დაარსება.** სატახტო გაზეთების სიტყვით საქართველოს ეხლანდელ საექსარხოსოს მაგივრად სინოდი საქართველოს სამიტროპოლიტოს დაარსებას აპირებს. მიტროპოლიტად ეხლანდელი ექსარხოსი ალექსი დაინიშნება.

✦ **საქართველოს ეგზარხოსს ალექსის** გადაუწყვეტია, ტობოლს აღარ წავიდეს. იგი ლივადიას გაემგზავრება და ნოემბრის პირველ რიცხვებში ტფილისს ჩამოვა.

✦ **გორის ეპისკოპოსი ანტონი** პეტერბურგიდან უკვე დაბრუნდა ტფილისს.

◆ **ქალაქის საქმეთა საკრებულო** მეფის მოადგილემ კავკასიაში ქალაქის თვით-მმართველობათა საქმეების თვალყურის სადევნებლად საჭიროდ სცნო დაინიშნოს მუდმივი მოხელე ქალაქის საქმეთა საკრებულოში. მეფის მოადგილე თავის შუამდგომლობაში ემყარება 29 მაისს 1900 წელს უმაღლესად დამტკიცებულ სახელმწიფო საბჭოს აზრს. მუდმივი მოხელენი დაინიშნებიან ბაქოს, ტფილისის, ქუთაისის, თერგის და ყუბანის საკრებულოებში.

◆ **ტფილისში** ყაჩაღობისთვის **სიკვდილით დასჯა** გადაუწყვიტეს ჯენგერსა და ყუბანს.

◆ **ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვის** მეცხრე და მეათე მუხლის განსახილველად 26 ოქტომბერს ქალაქის საბჭოს საბიუჯეტო-საფინანსო და სარევიზიო კომისიის შეერთებული კრება მოხდება.

◆ **შიოევისეულ სახლის** ახალ შენობას 26 ოქტომბერს ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისია დაათვალიერებს.

◆ **ქალაქის საელექტრონო სადგურის** შემმოწმებელ კომისიას, რომელშიაც ბაქოელი და ტფილისელი ინჟინერები შედიან, დღეს პირველი კრება ექნება.

◆ **შუამდგომლობა.** ტფ. საბაღოსნო სასწავლებელი ამ ჟამად მეტად ცუდს მდგომარეობაშია ჩავარდნილი სარწყავ წყლის უქონლობის გამო. წინად კავკასიის საბრეშუმო სადგურს მტკვრის პირად მანქანა ედგა წყლის მისაღებად და აქედანვე იღებდა წყალს საბაღოსნო სასწავლებელიც. მანქანა კარგა ხანია დაიწვა და ბაღი უწყლოდ დარჩა. რაც დიდად უწყობს ხელს ბაღის გაპარტახებას. ამის გამო კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ გუბერნატორს თხოვნით მიმართა, იშუამდგომლოს საგუბერნიო საგრონომიო თათბირის წინაშე, რათა მან წყლის მანქანის დასადგმელად 10,058 მან. 95 კ. ერთდროულად გაიღოს და 946 მან. კი—ყოველ წლიურად. ამასთან ერთად საბჭომ გუბერნატორს წარუდგინა, მანქანის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **მუშათა დაზღვევა უბედურ შემთხვევათაგან.** 23 ოქტომბერს ქალაქის საბჭოს დარბაზში თამბაქოს ქარხნის მეპატრონის ა. ა. ენფიანჯიანცის თავმჯდომარეობით სამრეწველო დაწესებულებათა პატრონთა კრება მოხდა. კრებას დაესწრო საქარხნო ინსპექტორი დ. ი. სუშჩევსკი. აარჩიეს რწმუნებულნი უბედურ შემთხვევათაგან მუშათა დაზღვევის კავკასიის ამხანაგობაში. აირჩიეს 5 კაცი: ა. ა. ენფიანჯიანცი, ბ. გ. ლიპკა, ა. ფ. ანდრეევი, ფ. პ. ტახტაჯიანცი და ე. ფ. ბეპლე.

◆ **კავკასიის საიურიდიო საზოგადოების** წევრთა საზოგადო კრება დანიშნულია დღეისთვის, საღამოს 8 საათზე, ოლქის სასამართლოს შენობაში. კრების საგანი: 1) კამათი ა. ე. სტრელბიცკის მოხსენების გამო „ხიზნობის მოსპობის“ შესახებ, 2) მოხსენება გ. თ. ჟორდანიასი ამავე საკითხზე და სხვა.

◆ **კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების** საბჭოს კრება 23 ოქტომბერს მოხდა. კრებას უნდა აერჩია ერთი რწმუნებული მეფის მოადგილის საბჭოში, რომელშიაც ამიერ-კავკასიის მომავალ სამის წლის ხარჯთ-აღრიცხვა უნდა განიხილოს. რადგანაც ეს საკითხი მეტად რთულია და მისი ყოველმხრივ შესწავლა ერთის კაცისათვის ძნელია, ამიტომ კრებამ აირჩია საგანგებო კომისია, რომელიც საკითხს ყოველმხრივ შეისწავლის და საბჭოს შესაფერ მოხსენებას წარმოუდგენს ერთ-ერთს უახლოეს კრებაზე. საბჭო კომისიის მოხსენებას განიხილავს და მაშინ ამოირჩევს რწმუნებულს, რომელსაც შესაფერ დირექტივებს მისცემს.

ბაქო

◆ უკვე ვწერდით, რომ წელს ბაქოს ქართულ სკოლაში მეოთხე განყოფილება გახსნეს და ეხლა მეოთხე მასწავლებელიც მოიწვიეს — ცნობილი მემუსიკე ნიკ. სულხანიშვილი, რომელმაც სიმღერა-გალობაც უნდა ასწავლოს ბავშვებს. სხვათა შორის სულხანიშვილს აზრადა აქვს ამ ცოტა ხანში მოაწყოს ხორო და კონცერტი გამართოს. მუშაობას უკვე შეუდგა. ვისაც ხოროში ჩაწერის სურვილი აქვს, უნდა ქართულ სკოლაში სულხანიშვილის მიმართოს.

სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო).

23 ოქტომბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს **თავ. ვოლკონსკი:**

განსახილველ საქმეთა შორის მოქცეულია **ლაშკარევის** განცხადება დეპუტატობიდან გადადგომისა და და 44 სათათბიროს წევრის საკანონმდებლო მოსაზრება რეგლამენტაციის პროსტიტუციის გაუქმების თაობაზე.

განაგრძობენ ტელეფონების ექსპლოატაციის კანონ-პროექტის განხილვას. მე-108 მუხლი მიიღეს პროგრესისტების რედაქციით. ერობისა და ქალაქების ტელეფონების გამოსყიდვის დროს შესაძენ ტელეფონის სასყიდელს განსაზღვრავს საკანონმდებლო დაწესებულება და არა მთავრობა, როგორც ამას კომისიის რედაქცია მოითხოვდა. მე-111 მუხლი ნებას აძლევს ერობებს თავისი ტელეფონი შეუერთოს მოსაზღვრე მაზრის ტელეფონს. შინაგან საქმეთა მინისტრს და ფოსტა ტელეგრაფის უწყებას შესწორება შეაქვთ და მოითხოვენ მუხლს დაემატოს სიტყვები: „შინაგან საქმეთა მინისტრის ნებართვით“. სათათბირო უარჰყოფს შესწორებას. დანარჩენი მუხლები უკამათოდ მიიღეს. მესამე განყოფილება, რომლითაც ერობებს და ქალაქებს უფლება ეძლევათ ამ კანონის გამოქვეყნებამდე გაყვანილ ტელეფონების ექსპლოატაციის დროს იხელმძღვანელონ ახალი კანონით მინიჭებულ უფლებებით, ფოსტის და ტელეგრაფის მთავარი სამართველო მოითხოვს სრულებით გამოტოვებულ იქმნას. სათათბირო მომხსენებლების გრაფ კაპნისტის და ნეკლუდოვის განმარტების შემდეგ უწყების მოთხოვნას უარჰყოფს. მუხლობრივი კითხვა კანონ-პროექტისა უკამათოდ დასრულდა. მიღებულ იქმნა პროექტი როსტოვის ქალაქის შტატისა და მართველობის შეცვლის თაობაზე. უკამათოდ ერთხმად უარჰყვეს კანონ-პროექტი 1911 წელს პეტერბურგში აშენებულ კოლექტორის მოსაწყობად 382,438 მან. და 1912 წელს აშენებულ ჯარის ბინების ხარჯის დასაფარავად 1,762,000 მ. გადადების თაობაზე. ეს ხარჯები გაწია მინისტრთა საბჭომ საბიუჯეტო წესდების პირველი მუხლის ძალით. ერთხმად მიღებულ იქმნა კანონ-პროექტი, რომლითაც ბიუჯეტის მე-17 მუხლის ძალით სამხედრო სამინისტროს მიერ საინტენდანტო გამგეობის საქმეებისთვის გაწეული ხარჯი—12,983,000 მ. ხაზინას დაეკისრება.

ხარლამოვი მხარს უჭერს შინაგან საქმეთა მინისტრისადმი მიმართულ შეკითხვას დონის ოლქში გაჩენილ შავი ჭირის წინააღმდეგ ღონისძიებათა მიღების თაობაზე და ამბობს: საექიმო სუსტი დახმარებისა და სხვა და სხვა უწყებათა ერთმანეთში კინკლაობისა გამო, შავი ჭირი მოსპობას ვერ ეღირსება. შეკითხვა მიიღეს. სასურველად აღიარეს საკანონმდებლო მოსაზრება დონის ოლქში სათავ.-აზნაურო და საგლეხო სასტატისტიკო კომიტეტები შინაგან საქმეთა სამინისტროს დაექვემდებაროს.

თავმჯდომარეობს **როძიანკო.** სათათბირო ფეხზე ადგომით მოისმენს სათათბიროს მიერ ტახტზე ასვლის გამო მილოცვის მეფის საპასუხო დეპეშას: „ვმადლობ სათათბიროს მილოცვისთვის“. თავმჯდომარე და სასათათბირო „ურას“ ძახილით შეხვდება დეპეშის კითხვას. მთავარი შტაბის უფროსი აცხადებს: მინისტრთა საბჭო შეუძლებლადა სცნობს სათათბიროს სურვილის მიღებას საკანონმდებლო მოსაზრების შემუშავების თაობაზე, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუქვემდებარდეს დონის ოლქის სასტატისტიკო კომიტეტები.

საკანონმდებლო მოსაზრება პიატიგორსკში ოლქის სასამართლოს დაარსების თაობაზე, შუბინსკის მოხსენებით უარჰყვეს. შუბინსკიმ განაცხადა, იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშავა შესაფერი კანონ-პროექტი და მისი განხილვის დროს შევეძლება ვსთქვათ ჩვენი სიტყვაო.

შინგარიოვი სურვილს გამოსთქვამს ბიუჯეტის განხილვის წესი შეიცვალოს. ეს განმეორებაა მეორე და მესამე სათათბიროში კადეტების შეტანილ წინადადებისა და გამოწვეულია ზოგიერთ პრაქტიკულ მოსაზრებით, რომელიც ბიუჯეტის განხილვის დროს იქმნება საჭირო. ამ წინადადებით საბიუჯეტო წელიწადის დასაწყისი 3 თვით გადაიდება. უნდა მოისპოს ხარჯთ-აღრიცხვის ზოგიერთი მუხლები, რომელთა განხილვა სათათბიროს არ შეუძლიან, წინადადება შეეხება აგრეთვე ზედა და ქვედა პალატის ურთიერთობას ხარჯთ-აღრიცხვის იმ მუხლების თაობაზე, რომელიც მთავრობას უფლებას ანიჭებს, როგორც ნებავს, ისე ხარჯოს ფულები დ თვით ხარჯთ-აღრიცხვის რამდენიმე მუხლსაც. შეეხება. ორატორი მოითხოვს, რომ მოსაზრება სასურველად იქმნეს აღიარებული და საბიუჯეტო კომისიას გადაეცეს. ორატორი იმედოვნებს, რომ სათათბირო მოითხოვს საბიუჯეტო უფლებათა გაფართოვებას და რომ აღმასრულებელი ორგანოს მოქმედება ფულის დახარჯვის საქმეში სასტიკად იქმნება კანონით განსაზღვრული და არავითარ გაუგებრობას ადგილი აღარ ექმნება (ტაში მარცხნივ), სახელმწიფო ხაზინის დეპარტამენტის დირექტორი აცხადებს: მთავრობა იკისრებს მხოლოდ საბიუჯეტო წლის დასაწყისის გადატანასაო. სათათბირომ ერთხმად სასურველად სცნო მოსაზრება და საბიუჯეტო კომისიას გადასცა შესამუშავებლად.

ტარასოვი და ჟილინი პირველი მოითხოვენ, სასურველად იქმნას აღიარებული საკანონმდებლო მოსაზრება შაქრის გაიაფებისა და საშაქრო წესების გაუქმების თაობაზე. მოსაზრება საბიუჯეტო და სასოფლო-სამეურნეო კომისიებს გადაეცა განსახილველად.

ეფრემოვი მხარს უჭერს მოსაზრებას—დონის ოლქის საგლეხო საკრებულოებში მოხელეთა რიცხვის გადიდების თაობაზე. მთავარ სამხედრო შტაბის უფროსი აცხადებს, სამხედრო სამინისტრო აჩქარებს კანონპროექტის შემუშავებასაო.

ეფრემოვი. საკითხი ეხლავ კომისიას გადაეცეს, რადგან სამხედრო სამინისტრო საქმეს აგვიანებს. სათათბირომ მიიღო წინადადება და კომისიას გადასცა.

საღამოს სხდომაზე თავმჯდომარეობს **როძიანკო.** შემოსულ საქმეთა შორის არის საკანონმდებლო მოსაზრება ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებათათვის ზედმეტი ფულის გადადების თაობაზე.

სათათბირო შეუდგა შეკითხვის განხილვას მოსკოვის პოლიციის უკანონო მოქმედების თაობაზე.

ტულიაკოვი: ს.-დ. ლოზუნგი—კოალიციის თავისუფლებაა, რომლის ნაწილს... (?) თავისუფლებისთვისაც ბრძოლა შეადგენს. ს.-დ. იბრძვიან მასის თავისუფლებისთვის (გამოტოვებულია) და მუშათა მასიურ ბრძოლის თავისუფლებისთვის. თუ ამ თავისუფლებას წინ ეღობება ბიუროკრატიული რეჟიმი, მით უფრო უარესია ამ რეჟიმისთვის.

მარკოვი მეორე: რუსეთის მშვიდობიან მცხოვრებთ ცხოვრების გაიაფება სურთ და არა რაღაც თავისუფლება. ლატაკი მოხარულია სამუშაოს აღებით, მაგრამ თავისუფლებით არა მუშა, არამედ მდიდარი სარგებლობს, მაგრამ არა ნამდვილი მექარხნე, არამედ ის ყოვლად მძლე კაპიტალი, რომელიც მთელს ქვეყნიერობაზე ურიების ხელშია. (ტაში მარჯვნივ).

ჩვენი დროის სულელები მოითხოვენ, რომ ყველაფრის ნება მიეცეთ, მთავრობა განზე იჯდეს და ყურს უგდებდეს, თუ მათ კრებებზე ირღვევა ყველაფერი, რაც ძვირფასია ყოველივე პატიოსანი ადამიანისთვის. სავაჭრო-სამრეწველოში მოსამსახურეთა კრება იმიტომ დაჰკეტეს რომ თავის საგანს გადაუხვია. გაზ. „რუსკია ვედომოსტის“ ბანკეტის დახურვის თაობაზე ორატორი ამბობს, ამ უხეირო და მოსაწყენი გაზეთის ხელმძღვანელნი შეეცადნენ გაზეთის სახელის გადიდებას და ხელმომწერლების რიცხვის გამრავლებას, რისთვისაც იუბილეი გამართეს. „რუსკია ვედომოსტის“ გზით რომ ევლო რუსეთს, ჩვენში ისეთი ამბები იქნებოდა, როგორიც ავსტრიაშია, სადაც სამართალი მოსყიდულია და ქრისტიან ბავშვების სისხლის ხმარება ნებდართულია (ხმაურობა მარცხნივ. ხმები: „კმარა“, „გარედ“!).

თავმჯდომარე სთხოვს ნუ ილაპარაკებს მეგობარ სახელმწიფოს წესებზე და ბეილისის საქმეზე.

მარკოვი მეორე აცხადებს: საჭიროა მეტი სიდინჯე, ან პირდაპირ აჯანყება ან ჭკვიანად ყოფნა.

ბადაევი ჩამოსთვლის მუშებისა და ნოქრების კრებების დახურვის მაგალითებს. მუშების არც ერთი კრება არ სრულდება პოლიციასთან შეუტაკებლად. პოლიტიკურ კრებებზე ლაპარაკიც მეტია, მაგრამ ს. დ. იბრძოლებენ კრებებისა დაკავშირების სრული თავისუფლების მოსაპოებლად. 116 ხმით 110 ხმის წინააღმდეგ სათათბირომ შეკითხვა მიიღო. სათათბირო შეუდგება ბეჭდვითი სიტყვის დევნის თაობაზე შეკითხვის განხილვას. შეკითხვის სისწრაფეს მხარს უჭერს **კერენსკი,** რომელიც ამბობს, რომ გლეხებისა და მუშების გაზეთი ვერ ეღირსება გამოსვლას. ორატორი ჩამოთვლის სოციალისტურსა და მუშების გაზეთს, რომელიც ადმინისტრაციამ დაჰკეტა. ორატორი კანონის გათელვას უწოდებს ადმინისტრაციის მოქმედებას და მოუწოდებს სათათბიროს ლიბერალურ ნაწილს ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება დაიცვან. დეპუტატი მოიხსენებს ებრაელების ვარშავის გაზეთ „ფრეინდ“-ის დახურვას, რომელიც საზოგადოების ერთი ნაწილს მეორე ნაწილზე ამხედრებდა დ ამბობს: გაზეთი „ზემშჩინა“ და სხვა გაზეთები ყოველ დღეს ამხედრებს ხალხს ერთი მეორეს წინააღმდეგ. ერთს ნებას აქვს, მეორეს ეკრძალება. ორატორი ბეილისის საქმეზე ლაპარაკობს. თავმჯდომარე სთხოვს ბეილისის საქმეს ნუ შეეხება, რამდენჯერმე გააფრთხილებს და შემდეგ სიტყვას წაართმევს.

პურიშკევიჩი. უარჰყოფს სისწრაფეს და აცხადებს, რომ რუსეთში 17 ოქტომბრის მანიფესტით სამოქალაქო თავისუფლებათა ევოლუციონური განვითარება უზრუნველ ყოფილიაო. რევოლუციონერებმა თავისუფალი კრებები და კავშირები სამიტინგოდ გამოიყენეს და თავისუფალი ბეჭდვითი სიტყვით საყოველთაო აჯანყებისთვის მოუწოდებენ. მთავრობას არ შეუძლიან სხვაფრივ მოიქცეს და არ ებრძოლოს ყოველივე ღონისძიებებით რევოლუციონერებს, რომელთაც რუსეთი ანარქიის ალში უნდათ გაახვიონ.

კერენსკი—ბეილისის საქმეს ეხება და აცხადებს: უნდა პროტესტი განვაცხადოთ იმ საქმის გამო, რომელიც არცხვენს რუსეთს მთელი ქვეყნიერობის წინაშე. სახელმწიფო სათათბირომაც უნდა განაცხადოს პროტესტი საშუალო საუკუნოების ზღაპრების წინააღმდეგ. რუსეთის დემოკრატიის სახელით კერენსკი სათათბიროს ტრიბუნიდან პროტესტს აცხადებს კიევის პროცესის გამო და აცხადებს, რომ დემოკრატია ყოველ ღონისძიებას მოიხმარს, რომ ბეილისის საქმე არასოდეს აღარ განმეორდეს. კამათი შესწყდა.

სვენციცკი აცხადებს, რომ მის მიერ პოლონურ ენაზე გამოცემული წიგნი, რომელიც სამი პოლონელი დეპუტატის სიტყვას შეიცავდა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის თაობაზე რომ იყო წარმოთქმული, აკრძალეს და სვენციცკის ბინა გაჩხრიკეს. მარტო ეს ფაქტია საკმარისი, რომ სისწრაფეს მხარი დაუჭიროთო.

გრაფი კაპნისტი. ოქტომბრისტების სახელით აცხადებს, რომ სისწრაფეს მხარს ვერ დაუჭერენ, რომ საკმაო საბუთი არ მოუყვანიათ შეკითხვის ავტორებსაო. ეგეთი ხასიათის შეკითხვა კადეტებისა უკვე მიღებულია. სვენციცკის განცხადების თაობაზე ამბობს, რომ ამ საქმის თაობაზე ცალკე შეკითხვის შეტანა შეიძლება და აქ არ არის მოსატანიო. სისწრაფე უარჰყვეს 185 ხმით 116 ხმის წინააღმდეგ. შეუდგნენ ს. დ. შეკითხვას ბეჭდვითი სიტყვის ორგანოების დევნის თაობაზე.

ჩხეიძე. მთავრობის სისტემატიურ უკანონო მოქმედების გამო, შეკითხვები შეტანილ უნდა იქმნეს მთავრობის შემთხვევითი მოქმედების თაობაზე. მთავრობა სდევნის მუშების პრესას, რომელიც ამჟღავნებს მთავრობის ნაციონალისტურ პოლიტიკას, რომელიც ბეილისის საქმედ გამოცხვა. თავმჯდომარე აფრთხილებს დეპუტატს ბეილისის საქმეზე ნუ ილაპარაკებს და სამჯერ გაფრთხილების შემდეგ სიტყვას წაართმევს.

ბურიანოვს მოჰყავს მაგალითები მუშათა პრესის უმართლოდ დევნისა. სისწრაფე 157 ხმით 84 ხმის წინააღმდეგ უარყოფილ იქმნა.

შემდეგი სხდომა პარასკევს.

კოტე ფოცხვერაშვილის კონცერტი ქუთაისში

ქუთაისში შემთხვევით მომიხდა ყოფნა, სწორედ იმ დღეებში, როდესაც იქ პირველი სიმფონიური კონცერტი იმართებოდა ბ-ნ კ. ფოცხვერაშვილის მეოხებით. ყველაფერი ჩემგან ნახული და გაგონილი ფრიად საინტერესოა და ვეცდები მკითხველებს გავუზიარო ჩემი შთაბეჭდილებანი. უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნო, რომ ქუთაისი ძლიერ მოკლებულია მუსიკას. იშვიათად იმართება ხოლმე კონცერტები, ოპერები და, მით უმეტეს, სიმფონიური კონცერტი. უკანასკნელის გამართვა პირდაპირ შეუძლებელია, რადგან ქალაქში არ მოიპოვება არც დამკვრელები, არც ნოტები, პიუპიტრებიც კი საძებნელი ან გასაკეთებელია. აქამდე არავის გაუბედნია იქ სიმფონიური კონცერტის გამართვა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ, 1903 წელს იმავე ბ-ნ ფოცხვერაშვილის მიერ გამართულ ქართულ კონცერტს. აუარებელი ხარჯი ტფილისიდან დამკვრელების წაყვანისა ყველას აშინებს და მხოლოდ კ. ფოცხვერაშვილისთანა თავაალებული კაცი უნდა იყოს, რომ გაბედოს აქ სიმფონიური კონცერტის გამართვა. ამ კონცერტის ხარჯი 1000 მანეთს აღემატება და შემოსავალმა, თუმცა ხარჯი დაჰფარა, მაგრამ გამწყობს კი არაფერი დარჩა. იგი არც კი ეძებდა რისამე გამორჩენას და ამიტომ დიდი მადლობის ღირსია ასეთ შრომისათვის. კ. ფოცხვერიშვილის კონცერტი ქუთაისის საზოგადოების ცხოვრებაში ისეთი დიდი ამბავი იყო, რომ საისტორიოდ გახდება. საზოგადოებაში დიდის მოუთმენლობით ელოდნენ ამ დღეს და, მიუხედავად ძლიერ დიდი ფასებისა, ბილეთები უკვე რამდენიმე დღის წინად სრულიად გაიყიდა. თეატრის დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით; გარედ კი ორი იმდენი იდგა და მეორე დღისთვის ყიდულობდა ბილეთებს, თან ერთი აურ-ზაური ჰქონდათ და უკმაყოფილებას აცხადებდნენ, რომ პირველ კონცერტზე ვერ დაესწრნენ. კონცერტზე დასასწრებად ჩამოვიდნენ ბათომიდან, ფოთიდან, სამტრედიიდან, ზუგდიდიდან და სხვა დაბებიდან. მაგრამ ყველაზე საინტერესო ის გარემოებაა, რომ ბევრი სოფლებიდანაც ჩამოვიდნენ ურმებით, და, როდესაც გაიგეს ბილეთები არ არისო, თვით კომპოზიტორს გაუგზავნეს კაცები: „სოფლებიდან ჩამოვედით, ხვალ ვეღარ დავრჩებით, და, რამდენიც გინდათ, წაიღეთ, ოღონდ კი თეატრში შეგვიშვითო“. თეატრის დარბაზშივე იხსდნენ ბ-ნ ფოცხვერაშვილის დედა, რომელიც სოფ. სადემეტრაოდან ჩამოვიდა და აგრეთვე კომპოზიტორის პირველი მასწავლებელი მუსიკისა ღრმა მცოდნე ძველი ქართული საეროვნო და საეკლესიო მუსიკისა მღვდელი **რაჟდენ ხუნდაძე.** სცენის წინა პირი შემკულია ჩანგითა და გირლანდებით. აიხადა ფარდა. მაყურებლები აღტაცებით უცქერიან საუცხოვო სურათს, რომელსაც წარმოადგენს ნაციონალურ ტანისამოსში გამოწყობილი „ქუთაისის მომღერალთა გუნდის“ ქალ-ვაჟთა ხორო. ხოროში მონაწილეობას იღებდა 100 კაცზე მეტი. ორკესტრი კი „ახალი კლუბი“-სა იყო. ლოტბარს ტაშით მიეგებნენ. გაისმა პირველი აკორდი იპოლიტოვ-ივანოვის სიუიტა „ივერიისა“. დამსწრენი სმენად გადაიქცნენ. შემდეგ დაიწყო მათთვის სრულიად უცხო რამ სიმფონია. გათავდა პირველი ნომერი, მეორე, მესამე... ხალხი სულგანაბული ზის, ხმა ვერ ამოუღია, ხელი ვერ გაუნძრევია; აქეთ-იქით ვიხედები, ვკვირობ: ნუ თუ არ მოეწონა მშობლიური ჰანგები, ნუ თუ არ მოეწონათ ის, რაც პეტერბურგსა, მოსკოვსა, ხარკოვსა, დორპატში და, განსაკუთრებით კი, ტფილისში (1910 წ.) აღტაცებას იწვევდა? მაგრამ ადვილი გასაგებია ამის მიზეზი: ხალხი რაღაც ბურუსშია გახვეული, შთაბეჭდილება იმდენად მრავალგვარია და დიდი, რომ ხალხი ვერ გამორკვეულა, ანგარიში ვერ გაუწევია იმისთვის, რაც ხდება, რაც მოისმინა. მხოლოდ ჰიბნის „ვახტანგ მეფის“ მძლავრმა ჰანგმა გამოაღვიძა ისინი, გამოარკვია ბურუსიდან. მთელ დარბაზს აღმოხდა ერთსულოვანი „ვაშა“ და დაუსრულებელი ტაში. აგრეთვე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ნომრებმა ოპერიდან „კერპთა დამხობა“. აქ განსაკუთრებით აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება ქურუმ-ქალის ლოცვა-არიამ, რომელიც საუცხოვოდ შეასრულა. **ქ-ნ ვესელოვზოროვისამ** (ბახუტაშვილის ასულმა). მას ორჯელ გაამეორებინეს და კიდევ დიდხანს იწვევდნენ ტაშით. მეორე და მესამე დღესაც აგრეთვე ყველას სალაპარაკო თემა ქ-ნ ვესელოვზოროვას მიერ შესრულებული არია იყო. ძლიერ მოეწონათ აგრეთვე „გოგონა“, „არმაზს დიდება“ და სხვანი, რომელნიც გაამეორებინეს. ანტრაქტების დროს ყველანი გაცხარებით ლაპარაკობენ მუსიკის შესახებ, მაგრამ ყველა შიშობს თავის აზრის გამოთქმას, ეშინიან რაიმე შეუფერებელი არ წამოსცდეს და ამით თავისი უმეცრება არ გამოამჟღავნოს მუსიკაში, ამიტომ უმჯობესად სთვლიან სხვას ჰკითხონ „კომპეტენტური“ აზრი. მაგრამ „კომპეტენტური“ აზრი კი არსადა ჩანს! არც გასაკვირია, რადგან ქუთაისის საზოგადოება მუსიკით არ არის განებივრებული. ანტრაქტების დროს ბ-ნ ფოცხვერაშვილის დედას მიულოცეს შვილის ბრწყინვალე გამარჯვება.

— რა გამოვიდა, შვილო? მაგი ქე მაკვდარა და... ამდენი ხელის ქნევით, აპა რა გადაარჩინსო?—სთქვა გულუბრყვილოდ მან. მაგრამ როდესაც დასასრულს კომპოზიტორი ხელში აიყვანეს, მთელი თეატრი „ვაშას“ იძახოდა და ტაშს უკრავდა, მემუსიკეები კი „ტუშს“ ასრულებდნენ—დედას ცრემლები გადმოსცვივდა სიხარულისა.

მეორე დღეს ფასები დაკლებული იყო. თეატრი კვლავ სავსე იყო ხალხით. მაყურებლების ნახევარს ისინი შეადგენდნენ, რომელნიც პირველ კონცერტზედაც დაესწრნენ. ეხლა ხალხი უფრო გაბედულად ეგებებოდა ყოველ მუსიკალურ ნაწარმოებს და დაუსრულებელი ტაშის-ცემითა და ოვაციებით აჯილდოვებდა კომპოზიტორს. უმეტესობა ახლა უკვე მოვიდა გონს და პირველ დღეს თუ მხოლოდ თავის გაქნევით და მხიარულის ღიმილით გამოსთქვამდნენ თავის აღტაცებას, ეხლა თამამად უზიარებდნენ სხვებს შთაბეჭდილებებს. მესამე დღეს თეატრის კასაში ტელეფონით სთხოვდნენ ეს და ეს ბილეთები შეგვინახეთო. ბევრი ძლიერ გულნატკენი დარჩა, რომ გაიგო, კონცერტი აღარ განმეორდებაო. რასაკვირველია, ჩვენ კ. ფოცხვერიშვილის მუსიკალურ ნაწარმოებების გარჩევას აქ ვერ შევუდგებით. ისინი შესრულებული იყო ტფილისში 1910 წელს, მაშინ დაწვრილებით განვიხილეთ და აღარც გავიმეორებთ. მხოლოდ გავიმეორებთ, გაზეთ „ბაქოს“ № 30 დაბეჭდილ რეცენზიის სიტყვებს კ. ფოცხვერიშვილის შემოქმედების შესახებ: „შეიძლება ბედმა მას არგუნა გახდეს იმად, რაც ველიკო-რუსებისთვის იყო გლინკა და უკრაინელებისათვის კი ლისენკო“. ჩვენ კი დავუმატებთ რომ, თუ იგი ჩვენს გლინკა-ლისენკოდ არ გადაიქცევა, წინამორბედი მაინც იქნება მომავლის დიდებული ქართველი კომპოზიტორისა, რომელიც უკვე მზად მიიღებს დიდებულ განძს—შეგროვილს და შეთხზულს საუცხოვო მასალას ქართულ ეროვნულ მუსიკისას. კ. ფოცხვერაშვილის მუსიკაში უკვე გაისმის მძლავრი ხმები მომავალ განახლებულ საქართველოს დიდებისა და მის მიერ შექმნილ ნიადაგზე მომავალი დიდებული კომპოზიტორი შექმნის საქართველოს სადიდებელს, ქართული ეროვნულ მძლავრი ჰანგების მწყობრს სიმფონიას. ბ-ნი ფოცხვერაშვილი დიდი ქებისა და მადლობის ღირსია, რომ არ შეუშინდა აუარებელ დაბრკოლებას და ხარჯს და თავისებური, დაუღალავი ენერგიით შესძლო შეესრულებია ის, რაც სხვებმა ვერ მოახერხეს. ჩვენც ვულოცავთ კომპოზიტორს ბრწყინვალე გამარჯვების დღეს, რომელიც აგრეთვე მისი მემუსიკეობის ათი წლის თავიც იყო.

ხორო და ორკესტრი ამ დღეს იმდენად მწყობრად ასრულებდა ყველაფერს, რომ გაოცებაში მოიყვანა ყველა. კონცერტის საღამოს კომპოზიტორი ავად იყო და ამის გამო ლექცია ვეღარ წაიკითხა, ამიტომ საჭირო იყო ლიბრეტოს შედგენა ისეთ აუდიტორიისათვის, რომელსაც ეძნელება სიმფონიურ ნაწარმოების გაგება. კონცერტების შემდეგ კომპოზიტორი იმდენად შეუძლოდ გახდა, რომ ექიმებმა ხანგრძლივი დასვენება ურჩიეს. **გ.—ნი.**

P. S. არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ შემდეგი გარემოება: ტფილისელებმა უფრო მეტად შეუწყეს ხელი კომპოზიტორს ქუთაისში პირველი კონცერტის იდეის განხორციელებაში, ვიდრე ქუთაისელებმა. „ახალმა კლუბმა“ ორკესტრი მისცა. რკინის გზის სამართველო კი დაეხმარა მემუსიკეთა წაყვანაში. ქუთაისში კი, პირიქით ხელს უშლიდნენ კიდეც. მაგალითად, რამდენიმე საზოგადო დაწესებულება შეჰპირდა დახმარებას, მაგრამ გარდა ქუთაისის შავი-ქვის მრეწველთა საბჭოსა, ყველამ ბოლოს უარი განაცხადა. ქუთაისის დრამატიულმა საზოგადოებამ დაადგინა: თეატრი 50 მ., დაეთმო მისთვის, მაგრამ პირველ კონცერტში 75 მანეთი გამოართვეს, ხოლო თეატრის საერთო ხარჯმა 150 მ. მიაღწია. ამ დროს კი გამგეობის ერთმა წევრმა მოითხოვა თეა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრის დარბაზში დატოვებით თავისუფალი 20 ადგილი, მათთვის, ვინც სცენის მოყვარედ ითვლება. და ერთი ლოჟა უფასოდ იყო უცხოთათვის.

გ—ნი

წერილები პეტერბურგიდან

(ოქტომბრისტების ნადიმი)

ოქტომბრისტები ყოველწლიურად დიდის ენერგიით, ერთსა და იმავე დროს დღესასწაულობენ თავიანთ „დაბადების დღეს“: 17 ოქტომბერს. რასაკვირველია, რადგან ეს დღე, არც ისე უმნიშვნელოა მთელი რუსეთისთვის და, განსაკუთრებით იმათთვის, ვინც თავიანთ დაბადების დღეს სწორედ 17 ოქტომბერს უთანაბრებს, ამიტომ სწორედ მაშინ მოიყრის ხოლმე თავს ყველა მოდღესასწაულე წევრი ოქტომბრისტებისა და ულოცავენ ერთმანეთს წარსულს, და სანეტარო მომავალს უქადიან.

რა თქმა უნდა, ოქტომბრისტების დღესასწაული უგუჩკოვოდ არ მოხერხდება. ის ისეთი დიდი პირია, რომ მისი იქ ყოფნა აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, რადგანაც მხოლოდ იმან იცის რა დროს რა უნდა სთქვას, როგორ და ვის შესახებ. მაგრამ ისეთი ხალხიც კი ამოიღებს ხოლმე ხანდახან ხმას, რომელიც აქამდე სდუმდა ან და... მუნჯი გვეგონა. დიდი აღფრთოვანება, იმედი იხატებოდა უწინ ოქტომბრისტების სიტყვებში, მაგრამ 17 ოქტ. ახლა, რაღაც ვერ იყო დიდი სიხარული, თუმცა არვინ არ დაჰკლებია თითქმის: თავმჯდომარე სათათბიროსი როძიანკო, მესამე სათ. ყოფილი თავმჯდომარე ხომიაკოვი, ალექსეენკო და ბევრი სხვა.

ყოველ კრების გახსნას მიჩვეულმა როძიანკომ აქაც გახსნა ნადიმი და ხელმწიფის სადღეგრძელოს თქმის შემდეგ წამოდგა ა. ი. გუჩკოვი. იგი ლაპარაკობდა ცოტა ხანს, მაგრამ ჩვეულებრივის ტონით, ჩვეულებრივის დაბეჯითებით.

-- ჩვენი დღევანდელი წლისთავი არც ისე სასიხარულოა, ბატონებო, —დაიწყო მან—თუ კი უწინ, არც ისე შორს წარსულში, ჩვენში იყო სიცხოველე, საზოგადოებრივი აღფრთოვანება, სიხარული, ახლანდელი მომენტი უფერულია და მომავალიც განუჭვრეტელი. მართლაც და 17 ოქტომ. მანიფესტი გაძევებულია და იმის შესახებ რისიმე თქმა აჯანყებისაკენ მოწვევადაა აღიარებული. მაგრამ დღევანდელი დღე ამის მიუხედავად მაინც ისტორიული დღეა. როგორც არ უნდა მოექცნენ მანიფესტს, როგორც არ უნდა ჰქელონ იგი, მაინც იცოცხლებენ ის აზრები რაც შიგ აღნიშნულია. ეს ის აზრებია, ის საფუძველია, რომელზედაც შენდება ყოველი საზოგადოება, ის საფუძველია, რომელიც შექმნილია რუსეთის წარსულით, ყოველი მოქალაქობრივი ურთიერთობის მუდმივი კანონებით. აი სწორედ, იმ საფუძვლის, იმ პოლიტიკური, მოქალაქობრივი წესრიგის თავისუფლების, სოციალური სამართლიანობის, რომელზედაც აშენდა და განმტკიცდება დიადი რუსეთი, იმათთვის მხიარულად და თამამად ვსვამ ამ სადღეგრძელოს“.

იგრიალა ტაშმა და მაღა-აღძრულმა ოქტომბრისტებმა დაიწყეს ლაპარაკი. გუჩკოვს მოჰყვა ფონ-ანრეპი, მას ჩისტაკოვი, რომელიც ძლიერ გულნაკლული იყო ბალკანეთის ომის ასე დასრულებითა და რუსეთის დიპლომატიის როლით. როსტოვცევმა იქიდან დაიწყო, რომ ვიღაც გლეხი სიმონი შეკითხება მუდამ, სად არის და როდის მოვესწრებით „პრავოვ“-სო. მაგრამ ჩვენ რა გვაქვს, იმათ ვინც სატახტო ქალაქებში ვცხოვრობთ, და პროვინციაში აბა საიდან იქნებაო.

ლამაზად და მოხდენილად ილაპარაკა ხომიაკოვმა... „არ შეიძლება სულ მუდამ შემოდგომაზე ლაპარაკი, ხანდახან გაზაფხულიც გავიხსენოთ (თუ დაავიწყდა, რომ სწორედ შემოდგომაა ახლა!); ვიცი, რომ შემოდგომამ წვიმა იცის, მაგრამ ამან არ უნდა შეგვიშალოს ხელი გაზაფხულისათვის დავანოყიეროთ მიწაო და სხვა. ესე იგი იმედიანი, ოპტიმისტური სიტყვა იყო. სჩანს ძლიერ გაერთო ბ. ხომიაკოვი.

თქვენ წარმოიდგინეთ, ა. ა. სტოლიპინმაც კი ილაპარაკა. ასწია ბაკალი, მაგრამ ისევ მალე დასწია. „ზამეტკის“ ავტორი „ნოვ. ვრემიაში“ დღესაც ისეთივე დარჩა, ვერ გაატანა ბოლომდე და მხოლოდ როძიანკოს სადღეგრძელო დალია, „რადგან ძლიერ დიდი ჯაფა მოელის წინ სხდომების დროსო“. ოღონდაც!

ზ. დ.—იანი.

პროფესიონალურ სკოლის მოწაფეთა ექსკურსია ატენის ხეობაში

(წერილი გორიდან)

ორშაბათს, 21 ოქტომბერს, გორის პროფესიონალურ სკოლის სამოცამდე მოწაფე „სახალხო გაზეთი“-ს კორესპონდენტ-თანამშრომლის **ბ. სანგანიძის** და სკოლის რამდენიმე მასწავლებელ ქალისა და კერძო პირის თანხლებით ფეხით გავემგზავრენით ატენის ხეობისაკენ სიონის ტაძრის დასათვალიერებლად. თუმცა წინადღით ამინდი ცუდი იყო, მაგრამ დღეს ცა საუცხოვოდ მოკრიალებული იყო და ამომავალ ცხრათვალა მზეს ოქროსფერად შეეღება შემოდგომის სუსხით გადაყვითლებული მთა-გორაკები. სახე გაბრწყინებული, კმაყოფილი მიითამაშობდნენ პატარა გოგონები და თავისი მხიარული „ცანგალა და გოგონით“, „ომში წასვლა ვის უხარის“, „სულ ძილი, ძილი“! და სხვ. გამხიარულეს დაღვრემილი მიდამოები. მალე შევიარეთ სოფ. ჯებირი, გარდატენი და თორმეტ საათზე უკვე ატენში ვიყავით. უწინარეს ყოვლისა ვეწვიეთ ზუზმანის სახერხავ ქარხანას, დავათვალიერეთ იგი და იქვე პატარა შევისვენეთ. აქედგან ხელის გულივით გადაშლილია თქვენს თვალწინ-შუაში გორმაჟი, საამოდ მორაკრაკე, ანკარა ატენურა, მის მარჯვენა ნაპირზე კი მთას შეფენია ქართ. თავად აზნაურობის უზარმაზარი მამული მშვენიერი დიდი შენობით, რომელშიაც მოთავსებულია წერა-კითხვის საზოგადოების სკოლა. უფრო კი რაც თვალს სჭრის, რაც გხიბლავთ ეს ამავ მამულში გაშენებული ვენახია, რადგან მეტი წილი მამულისა მთიანი ალაგია, რომ ვენახი გაეშენებინათ იცით რა უქნიათ? კიბე-კიბე, ტერასებად შეუჭრიათ მთის მწირი, ქვიანი კალთები, გაუპატივებიათ ნიადაგი და ზედ მშვენიერი ვენახი გაუშენებიათ. წარმოიდგინეთ რამდენი შრომა, ენერგია იყო საჭირო, რომ ეს მთა კიბედ გარდაექციათ, თურმე გლეხები ირონიით შესცქეროდნენ „ნასწავლების“ ასეთ „ქარის წისქვილებთან ბრძოლას“, მაგრამ არ შეშდრკალა მტკიცე გული პატიოსან ადამიანთა, და ნელა, დინჯად უთხრიათ და უთხრიათ ეს მწირი, ქვიანი ალაგი, დაუურგავთ კულტურა.

იქ, სადაც მისი ხარება უბრალო მომაკვდავთ შეუძლებლად მიგვაჩნია და ნეკერჩხლის, ეკლის, კუნელის და სხვ. მაგივრად ჯარის-კაცებივით ლამაზად ჩაუმწკრივებიათ სხვადასხვა ჯიშის ვაზი ალიგოტე, სემილიონი, პედრო და სხვ. მეორე მხარეს კი სხვადასხვა ჯიშის ხილეულობა. შესვენების დროს ბ. **სანგანიძემ** განგვიმარტა რა მნიშვნელობა ჰქონდა წინად თავად-აზნაურობას ომიანობის დროს, როდესაც აქეთ-იქიდან გაუმაძღარი ყვავ-ყორნებივით შემოესევოდნენ ხოლმე ჩვენს უბედურს სამშობლოს მტერნი და სწიწკნიდნენ, მას, აოხრებდნენ მის მიდამოებს და ნადავლით დატვირთულნი მრავლად მიჰყავდათ ტყვედ მამულის იმედი—ახალგაზრდობა; როგორ დაჰკარგა ამ წოდებამ ჟამთა ვითარების გამო თავისი მნიშვნელობა, გაფლანგა მამა-პაპეული და დღეს ასრულებს, აბოლოვებს ამ ფლანგვას თავისი მამულის უცხოელებზე მიყიდვითო; გაიხსენა ისტორია ერისთავებისა, რომელთაც ეკუთვნოდათ ეს ძვირფასი მამული, მაგრამ რომლის დიდი, უკეთესი ნაწილი უცხოეთიდან გადმოკარგულს ზუზმანს ჩაჰვარდნია ხელთ და დასძინა: მართალია, დღემდე ჩვენი ბრწყინვალე წოდება სამარცხვინოდ, თვის ღირსების დამამცირებლად სთვლიდა ფიზიკურ მუშაობას, სამარცხვინოდ სთვლიდა თვისი ხელით დაემუშავებინა თვისი მამული, მაგრამ დღეს, ჩვენმა თავადებმაც მოჰკიდეს ხელი მეურნეობას (მაგალ. მოიყვანა სოფ. ავლევის სამეურნეო სკოლა კ. ამირეჯიბისა), იღვიძებს ქართველ ხალხში პოტენციალური ძალა და, უეჭველია, დიდი ხანი არ გავა, რომ ეს ხრიოკები, ეს მთები, მშვენიერი ბაღ-ვენახებით, მეურნეობით იქნება აყვავებულიო...

აქედგან წ. კ. საზოგადოების სკოლას ვეწვიეთ. უქმე იყო და სწავლა არ სწარმოებდა სკოლაში. მასწავლებელმა ბ. მარკოზაშვილმა სიამოვნებით მიგვიღო და მცირე-ხანს გვებაასა. როგორც მან გადმოგვცა, სკოლას, თურმე, დიდი ნდობით უყურებენ ადგილობრივი გლეხები. სკოლაში ამჟამად სწავლობს 70 მოწაფე და 40-სათვისაც უადგილობისა გამო უთქვამთ უარი. ეხლა, თურმე, ეპირებიან მეორე მასწავლებლის მოწვევას და სათანადო შუამდგომლობაც აღუძრავთ წ. კ. მთავარ გამგეობის წინაშე. დავათვალიერეთ აქვე, გვერდით გაშენებული ვენახი, ვაზის სანერგე და რადგან დრო ნაკლები გვქონდა, გამოვემშვიდობეთ ბ-ნ მარკოზაშვილს და გავეშურეთ ზემოთ, სიონის ტაძრის დასათვალიერებლად. ორ საათზე უკვე მივედით სიონთან. შევისვენეთ, შევნაყრდით და მერე მოწიწებით გავსწიეთ ტაძრისკენ, სადაც ბ. სანგანიძე წარსულ ზაფხულს ავაზაკურად გატაცებულ ჩუქურთმიან ქვის ნაადგილევსა ზომავდა. მოკრძალებით შევედით, მოკრძალებით მოვიხარეთ ქედი დიად ნაშთის წინაშე. ბ. სანგანიძემ აქ მოკლედ განგვიმარტა მნიშვნელობა ექსკურსიებისა, გვიამბო როგორ ფასსა სდებენ და მნიშვნელობას აძლევენ მოგზაურობას ევროპაში, როგორა ვართ ამ მხრივ ჩვენ ჩამორჩენილი, გვიამბო ისტორია ტაძრისა, რომელიც აგებული ყოფილა VIII—IX საუკუნეში, დავათვალიერეთ საფუძვლიანად ტაძარი შიგნიდან და გარედან. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მოწაფეებზე ამ ძვირფასმა, ისტორიულმა ნაშთმა... დიადია იგი, მაგრამ დიადია ის ვერაგობაც, რომელიც მიუყენებია ამ ტაძრისთვის სულელ ადამიანის ხელს; ძვირფასი ნახატობა წარყვნილია გვარის სულელური წარწერებით რუსულად თუ ქართულად. ვის არ ამოიკითხავთ აქ რუსს, ურიას, სომეხს, ქართველს .. მაგრამ, როგორც შევამჩნიეთ — წარწერები უფრო მოწაფეებს ეკუთვნით, მაგალ. სჭარბობს გორის სასულ. სასწავლებლის მოწაფეთა გვარები. კარგი იქნება სასწავლებლებში მასწავლებელნი ჩააგონებდნენ მოწაფეთ, რომ არ აჭრელონ ხოლმე წმინდა კედლები ასეთი ძვირფასი ნაშთისა თავიანთ უშნო წარწერებით. ტაძრის დათვალიერების შემდეგ გაიმართა სიმღერები. გოგონებმა დაჰკრეს „ცანგალა და გოგონა“ და ჩამოუარეს. ითამაშეს გლეხის ბიჭებმაც. ჩამავალი მზე სუსტად ესროდა თვის მიმქრალ სხივებს მთის მწვერვალებს; როცა ავიშალენით და გამოვსწიეთ სიმღერით, მხიარულებით... ბინდმა მოგვასწრო გარდატეხს. დღის მხიარულება ღამის სიწყნარემ შესცვალა. ყვითელმა მთვარემ ოქროს წყალში ამოავლო მიდამოები. საღამოს შვიდ საათზე უკვე გორში ვიყავით, ნახულით და ნაგრძნობით დიდად ნასიამოვნები, კმაყოფილი.

მოგზაური.

საღამოს ლოცვა

შემოქმედო! მადლი შენდა! მადლი გრძნობას და გონებას!
დაჰხედავდი დიდს მსოფლიოს, დიდი საზრდო ჰშთა გონებას!
შემოქმედო, მარტო იყავ, ჰქმენ სიცოცხლე—იყავ მარტო!
ჩვენ ბევრნი ვართ... რას აკეთებ?—მკითხავენ; რა განვუმარტო?!
საგალობელს ვსწერ ეტრატზე, ვსწერ სიცოცხლის ლაღადებას!
ნუ მკითხავენ, რას ვაკეთებ,—სული სწვდება ქრისტეს ვნებას.
ნუ მკითხავენ, რას ვაკეთებ; რა, ან როგორ განვუმარტო?
ველარ დავსწერ ფაქიზ ლექსებს,—ველარ დავრჩი მარტოდ-მარტო.
მაშ, სანთელი ჩავაქრო და ძილ-წყვდიადში ჩავესვენო!
ნუ აფხიზლებ მგოსანს, ღამევ, ნურას უმხელთ მგოსანს, დღენო!

ბაბილინა.

სომეხთა ცხოვრება

ქ. სტემბოლში გარდაცვალებულ აგრონომის და საზოგადო მოღვაწის სიმონ ზავარიანის დაკრძალვა მოხდება ტფილისში, კვირას, 27 ოქტომბერს. მის გვამს ტფილისს ჩამოასვენებენ პარასკევს, 25 ოქტომბერს. დაკრძალვა მოხდება ხოჯივანქის სასაფლაოზე. გაზ. „ჰორიზონის“ რედაქციას მოსდის ძრავალი სამგლოვიარო დეპეშები და წერილები განსვენებულის პატივისმცემლებისაგან, აგრეთვე მისი ამხანაგებისაგან და თანამოაზრეთაგან. მისი ხსოვნის აღსანიშნავად სოფ. აიგეჰატში დაარსდება ბიბლიოთეკა-სამკითხველო.

ა. ქალანთარის სიკვდილის გამო ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა: მთელის შემადგენლობით დაესწროს მის დაკრძალვას და საშძიმარი გამოუცხადოს განსვენებულის ჭირისუფლებს.

უცხოეთი

ასკვიტის ცემა.

19 ოქტომბერს სტირლინგში სუფრაჟისტებმა შეაყარეს თვალებში ასკვიტის შოფერს დანაყილი პილპილი, ავტომობილი გააჩერეს, დაესხნენ პრემიერ მინისტრს ასკვიტს და სცემეს წკეპლებით.

არჩევნების შედეგი იტალიაში.

იტალიის არჩევნები მშვიდობიანად დასრულდა. იყო ამომრჩევლების ერთმანეთს შორის და პოლიციელებთან შეტაკება, იყო აგრეთვე დაჭრილებიც. იყო დაპატიმრება იმათი, ვისაც უნდა ძალდატანებითი გავლენა მოეხდინა ამომრჩევლების სინიდისზე, მაგრამ ყველა ეს იყო მოსათმენი და ჩვეულებრივი.

წლევანდელი არჩევნები ახალ კანონების ძალით ხდებოდა არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება ეძლევა ყველა მოქალაქეს 30 წლის შესრულებულს, და აგრეთვე ყველას, ვინც სამხედრო ბეგარა მოიხადა; მაშასადამე აქედან გამორიცხული არ არიან უსწავლელნიც (წერა-კითხვის არ მცოდნენი), მხოლოდ, რასაკვირველია, ქალებს არავითარი უფლებანი არ ენიჭებათ. ამ კანონებს „საერთო არჩევნებისა“ წოდება არ შეეძლება, რადგან ამომრჩეველთა რიცხვიდან გამორიცხულია მოქალაქეთა ნახევარი—ქალები და ოცდაათ წელზე ნაკლები წლოვანი მოქალაქე, რომელიც არ გაწერილა სამხედრო ბეგარის მოსახდელად. მიუხედავად ამისა ამომრჩეველთა რიცხვი სამი მილიონიდან რვა მილიონამდე ავიდა. მთელი იტალიის მცხოვრებლების რიცხვი 35 მილიონს უდრის. საარჩევნო უფლებების გაფართოებამ, ამომრჩეველთა რიცხვი წინანდელ კანონებთან შედარებით სრულიად არ გაადიდა. პირიქით ხელი შეუწყო გულგრილობის გამომჟღავნებას ჯერ კიდევ გამოანგარიშებული არ არის რამდენმა ამომრჩეველმა არ ისარგებლა უფლებით, მაგრამ უეჭველია, ამითი რიცხვი 50 პროც. აღემატება, მაშინ როდესაც წარსული არჩევნების დროს იმათი რიცხვი ვინც არჩევნების დროს თავი შეიკავა, 40 პროც. არ აღმატებია.

რუსეთი

უთანხმოება ს.-დ. ფრაქციაში.

სათათბიროს ს.-დ. ფრაქციაში დიდი უთანხმოებაა მეუმრავლესეთა და მეუმცირესეთა შორის. მეუმრავლესეებმა: ბადაევმა, მალინოვსკიმ, მურანოვმა, პეტროვსკიმ, სამოილოვმა და შაგოვმა ფრაქციას განცხადება წარუდგინეს, სადაც შემდეგს ამბობენ: სათათბიროს წარსულ სესიაში მეუმცირესეთა შვიდმა დეპუტატმა ისარგებლეს ერთი ხმის უმრავლესობა, დეპუტატების მოქმედებას აფერხებდნენ, ხშირად ნებას არ აძლევდნენ სათათბიროში ელაპარაკნათ, ორი ადგილიდან, საბიუჯეტო კომისიაში რომ ჰქონდათ, ერთიც არ დაუთმეს, ამასთან ბევრი ისეთი დადგენილება გამოიტანეს, რომელიც მეუმრავლესეთა აზრით, შეგნებულ მუშების უმრავლესობის აზრს არ შეესაბამება. მაგალითად, მოჰყავთ დეპუტატების იაგელოს ფრაქციაში მიღება, რომელიც, მათი აზრით, არ არის სოც.-დ., და ნაციონალისტურ ლოზუნგების მიღება ნაციონალურ-კულტურულ ავტონომიის აღიარების სახით. შემდეგ დეპუტატები მოიხსენიებენ თავიანთ გავლენას მუშებში და შეუძლებლად სთვლიან ფრაქციის მთლიანობას, თუ მეუმრავლესეთა ექვს დეპუტატს მეუმცირესეთა შვიდი დეპუტატის თანაბარი უფლება არ ექმნათ და თუ ყოველივე საკითხის გადაწყვეტა ორივე მიმართულების შეთანხმების პრინციპზე არ იქმნა დამყარებულიო. დეპუტატებმა-მეუმრავლესეებმა განცხადების წარდგენისათანავე ითხოულობდნენ პასუხს და მიატოვეს ფრაქციის სხდომა. მეუმცირესეთ ითათბირეს წინადადების თაობაზე და რაკი 2 დეპუტატი—ჩხენკელი და მანკოვი—პეტერბურგში არ იმყოფებიან, სთხოვეს მეუმრავლესეებს 25 ოქტომბრამდე გადაედოთ განცხადების განხილვა. მეუმცირესეთ გაგზავნეს პასუხი და მოითხოვეს მეორე საღამომდე პასუხი მიეცათ, ხოლო საქმის გადადებას ზედმეტად სთვლიან, რადგან ყველაფერი აშკარაა. ამ ამბების გამო 7 დეპუტატმა—მეუმცირესემ მიმართა მუშებს განცხადებით, გამოსთქვან თავიანთ აზრი, დაიცვან ფრაქციის მთლიანობა და შეუძლებელი ჰყონ ფრაქციის გათიშვა.

ახალი შეკითხვები სათათბიროში.

კადეტების პარტიის დონელი დეპუტატების ინიციატივით შეკითხვა შეაქვს სათათბიროში დონის ოლქში შავი ჭირის წინააღმდეგ ღონისძიების მიღების თაობაზე. შეკითხვა მიმართულია შინაგან საქმეთა მინისტრისადმი.

კადეტებს და ოქტომბრისტებს შეკითხვა შეაქვთ სათათბიროში ძირითადი კანონების მე-65 მუხლის შეცვლის თაობაზე. შეკითხვა მინისტრთა თავმჯდომარესადმი არის მიმართული. ამ მუხლის შეცვლა გამოიწვია უმაღლესს წრეების სურვილმა, რათა სათათბიროს ჩამოეცალოს სასულიერო საქმეები: ყოველივე კანონი, რომელიც სასულიერო უწყებას შეეხება, სათათბიროს გარეშე იქნება მოწონებული და გატარებული.

პროგრესისტების თათბირი.

სახელმწიფო სათათბიროს პროგრესისტთა ფრაქციამ თათბირი გამართა იმის თაობაზე, თუ რა პირობით შეიძლება შეურიგდნენ ოქტომბრისტებს.

თათბირი შემდეგ აზრს დაადგა: თუ ოქტომბრისტები ოპოზიციაში ჩაუდგებიან მთავრობას შემდეგი წინადადებით. მიმართონ: ოქტომბრისტებმა შეადგინონ სია იმ კანონ-პროექტებისა, რომელიც უნდა უარყოფილ იქმნას. გამოირკვეს სახელდობრ, რა კანონ-პროექტების გაყვანა სურს მთავრობას და მათი განხილვა უნდა გადაიდოს. უნდა გაყვანილ იქმნას ერობისა და ქალაქების კანონ პროექტი, სენატის რეფორმისა და მოხელეთა პასუხისმგებლობის კანონ-პროექტები. თუ ეს წინადადება მიღებულ იქნება, მაშინ პროგრესისტების სიტყვით დაიწყება მოლაპარაკება შეთანხმების თაობაზე.

ტფ. ქალაქის საქმე სენატში.

სენატმა განიხილა შინაგან საქმეთა მინისტრის აზრი ტფილისის ქალაქის აღმასრულებელ კომისიის ინსტრუქციის თაობაზე და უყურადღებოდ დასტოვა. ამნაირად ტფილისის საგუბერნიო საკრებულოს დადგენილება გაუქმდა და ქალაქი გამარჯვებული დარჩა.

წკიპურტები

გუშინ-წინ შესდგა ქართველ ქალთა საზოგადოების კრება. კრებაზე ცოტა ხალხი დაესწრო. ბევრს „ქართველ ბარიშნას და მადამს“ თუმცა „ძლიერ სურდათ“ კრებაზე დასწრება, მაგრამ საპატიო მიზეზებისა გამო ვერ დაესწრნენ: საპატიო მიზეზთა შორის შეგვიძლიან ჩამოვთვალოთ:

1) ქართული ენის არ ცოდნა (კრებაზე კი თუმცა ჩიქორთულად, მაგრამ მაინც ქართულად ლაპარაკობენ).

2) ამ საღამოს „დეშოვი“ ლოტო იყო „ახალ კლუბში“ (ეს მიზეზი ყველაზე უფრო სერიოზულია). სამაგიეროდ პირველ დღესვე საზოგადოებას აუარებელი ფული შემოსვლია. ქართველ ქალებს გადაუწყვეტიათ: ერთი დღის ვადით არ წაისვან ფერ-უმარილი, პუდრი, პომადები, და ეს ფული საზოგადოებას გადასცენ. აქედან ისეთი დიდი თანხა შემდგარა, რომ საზოგადოება ინგლისში აპირებს გამგზავრებას იქაურ სუფრაჟისტ-ქალთა საბრძოლველ საშუალებათა შესასწავლად.

⁂

უცხოეთიდან შეკითხვები მოგვდის: ამ ბოლო დროს სრულებით შესწყდა ქართული საზოგადოებრივი მაჯის ცემა და საჩქაროდ შეგვატყობინეთ რა არის ამის მიზეზიო. რედაქციამ ფარული ანკეტა მოახდინა და შემდეგი გამოარკვია: ჩვენი საზოგადოებრივი მაჯის ცემა იუბილეებში და დასაფლავებებში გამოიხატება. თითქმის არ დარჩენილა ისეთი ქართველი, რომლის იუბილე არ გადახდილიყოს, ამიტომაცაა, რომ ჩვენი ცხოვრების მაჯის ცემა შესწყდა. უეჭველია, საჭიროა ისეთი კაცების გამოძებნა, რომელსაც რაიმე სამსახურში 25 ან და 15 წელი მაინც გაეტარებიოს და რომლის იუბილე ჯერ არ იყოს გადახდილი. რადგან ვგრძნობთ, რომ ეს საქმე ძლიერ საძნელოა, ვნიშნავთ შესაფერ ჯილდოს იმისთვის, ვინც ასეთს იუბილე-გადაუხდელ მოღვაწეს აღმოაჩენს. ჯილდოს მისაღებ პირობებს ამ მოკლე დროში გამოვაცხადებთ.

ჩვენ.

თეატრი და ხელოვნება

დავ. კლდიაშვილის საღამო გაიმართება ქართულ თეატრში 12 ნოემბერს; როგორც გავიგეთ, ამ საღამოზე, სხვათა შორის, ლექციის წაიკითხავს **ივ. გომართელი** და იმღერებს ახალგაზრდა მომღერალი **დავ. აკოფაშვილი**.

ბაქო. 20 ოქტომბერს ბაქოელებმაც ვნახეთ ნ. შიუკაშვილის დრამა „ცაცანათელა“. პიესამ საზოგადოება ვერ დააინტერესა. შეიძლება ამისი მიზეზი ისიც იყო, რომ პირველმა ორმა მოქმედებამ მკრთალად და უსიცოცხლოდ ჩაიარა, თუმცა არ შეგვიძლიან აქვე არ აღვნიშნოთ სიძნელე პროვინციალურ სცენისთვის ამ გვარ პიესის წარმოდგენისა: დრამაში ბევრი ლაპარაკია, არის ყალბი ადგილებიც და განსაკუთრებული ძალებია საჭირო, რომ ასეთმა დრამამ ცოცხლად ჩაიაროს. შთაბეჭდილება მოახდინა მხოლოდ მესამე მოქმედებამ.

დასს ვერ ვუსაყვედურებთ —რაც შეიძლო გააკეთა. ამსრულებელთაგან აღსანიშნავია ქ-ნი ჩაგუნავა ნათელას როლში. მისი თამაშობა საკმაოდ ბუნებრივი იყო. ქ-ნმა ცაცა ამირეჯიბმაც დაკვირვებით ჩაატარა ბაბოს როლი. სუსტობდნენ ჟორჟანაშვილი და ა. პავლიაშვილი (უბარდულიძე და კახიძე). საჭირო იყო მეტი სიცოცხლე და დარდიმანდობა.

ხალხი ბლომად დაესწრო. უკვე ოთხი წარმოდგენა გაიმართა და ოთხივეზე თეატრი თითქმის სავსე იყო. ამ მხრივ ბაქოელ ქართველებს ვერ ვუსაყვედურებთ. მაგრამ არ შეგვიძლიან ჩვენი საზოგადოების ერთი ნაკლი მაინც არ აღვნიშნოთ: წესი და რიგი არ ვიცით. ანტრაქტების შემდეგ რაც უნდა დიდხანს ურეკონ ზარი, ხალხი მაინც მაშინ შედის დარბაზში, როცა ფარდა აწეულია და სცენაზე მოქმედებაა. მუდამ ბრახაბრუხი და ხმაურობაა. თითქმის ნახევარი მოქმედება იკარგება.

წელს წარმოდგენები დროზე იწყება—ცხრის ნახევარზე და თავდება უეჭველად თორმეტამდე, ხან თერთმეტზე, ხან თორმეტის ნახევარზე. ამ გარემოებას კი დიდი მნიშვნელობა აქვს. ბევრნი ბალახანა-საბუნჩის რაიონიდან მოდიან და, რაკი წარმოდგენა ადრე თავდება, უკანასკნელ მატარებლით ამავე საღამოთი ბრუნდებიან.

შემდეგ მორიგ წარმოდგენისთვის (კვირას, 27 ოქტომბერს) დანიშნულია პროტოპოპოვის ცნობილი პიესა „ცხოვრების გარეშე“. როგორც მოგეხსენებათ, ამ პიესაში აწერილია ხელზე მოსამსახურეთა გაჭირვებული ყოფა-ცხოვრება.

ბათომი. რადგან შმაევსკას თეატრში მთავრობამ საშიშოდა სცნო წარმოდგენების გამართვა—და აკრძალა—ამიტომ დრამატიულმა საზოგადოებამ ეხლა „რკინის თეატრში“ გამართა წარმოდგენა. 22-ს ოქტომბერს აქ პირველად წარმოადგინეს პროტოპოპოვის 4 მოქ. პიესა „ცხოვრების გარეშე“ ხელზე მსახურთა ცხოვრებიდან. ამ პიესის წარმოდგენის დროს თვალ წინ წარმოგვიდგა ნამდვილი ბატონ-ყმობის დრო, ხოლოდ სხვა გარემოებაში და სხვაგვარად ჩამოყალიბებული. ორიოდე სიტყვა მოთამაშეთა შესახებ: ბ. ალუღიშვილმა ვერ მოახდინა კარგი შთაბეჭდილება.. კარგი იყო ბეჟანაშვილისა (ელენე), როგორც ბურჟუა—მაღალი წრის ქალი შესაფერად ეჭირა თავი ანდრონიკაშვილის ასულს (ნატაშა) თუმცა კარგი როლი ჰქონდა, მაგრამ—როლის უცოდინარობა ეტყობოდა და ხშირად ბორძიკობდა; კარგი იყო იური (გელოვანი) მისი მიხვრა-მოხვრა და მიმიკა მოსაწონია.. არა უჭირდათ-რა ლეჟავას ასულს (პოლია) და დუნიას (რონელი). კარგად აასრულეს თვისი როლები მგალობლიშვილმა (იკავ) კორიშელმა (მოსიპ) და ყალიბეგიშვილმა (ნიკიტა) ეს უკანასკნელნი ტიპური გამასახიერებელნი იყვნენ პირველი მზარეულისა, ხოლო მეორე მეეტლესი...

ტრ. ი—ძე.

დ. ჭიათურა. 20 ოქტომბერს დასდგეს კისტმეკერსის „ინსტინქტი“. ამ პიესის შინაარსი უკვე იცის „სახალხო გაზეთი“-ს მკითხველებმა, ამიტომ ამაზე აღარას ვიტყვით.

წარმოდგენამ ამ საღამოს შედარებით კარგად ჩაიარა. სესილის როლში კარგი იყო ქ. ლოლუას ასული, მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს როლი ქ-ნ ბალარჯიშვილისას უფრო შეეფერებოდა. მსახურის როლში კარგი იყო ქ. აბაშიძე. თუ იშრომებს, ეს უკანასკნელი სასარგებლო სცენის-მოყვარე დარჩება.

ბენუს სულიერი ტანჯვა და აღშფოთება, ძლიერ სუსტად დაგვიხატა ბ ანდრონიკაშვილმა.

ბ. მაჭარაშვილი დინჯი და დაკვირვებული სცენის მოყვარეა, ამ საღამოს კარგი ანდრეს როლში. მხოლოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ბ. მაჭარაშვილს ერთი თვალსაჩინო ნაკლი აქვს, რომელიც ადვილი გასასწორებელია, ეს არის,—უვარგისი გამოთქმა, უვარგისი კილო ქართული ენისა.

იტი.

დ. ხაშური. 21 ოქტომბერს, ხაშურის ქართულ დრამ. წრემ, ძმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯაფარაშვილების თეატრში წარმოდგენა გამართა. წარმოდგენა ტეხნიკურის მხრით ძლიერ მოიკოჭლებდა; სცენის მოყვარეების კარგად თამაშს ამ დანაკლისმა სრულად დაუკარგა ფერი. წარმოადგინეს აზიანის 3 მოქმ. პიესა „ფული და ხარისხი“ და ვ. გუნიას „ადვოკატთან“. ორივე პიესა მწყობრად ითამაშეს. „ფული და ხარისხი“-ს უმთავრესი გმირი—დავითი ლაიბაძე, ფრთა მოკვეცილი თავადი, მშვენიერად დაგვიხატა გ. ტ. ჯაფარიძემ. არტემ შარბათოვის როლში შეუდარებელი იყო გ. მიასკვალიაშვილი; ის დაკვირვებით თამაშობდა და როლიც კარგად იცოდა. ქ-ძა. ს. გამრეკლისამ ჩინებულად დაგვიხატა გამოტვინებული მოხუცი დედა-კაცი—სოფიო. უნაკლულოდ შეასრულეს თავიანთი როლები: ბ. გოგიშვილმა (ლევანი), თ. აფხაზიშვილმა (ბაბალე), ს. ტატიშვილმა (მაშო), კ. თედორაშვილმა (ბაგრატ). ა. ქუთათელაძემ (კოწია), დანარჩენები ანსამბლს ხელს უწყობდნენ.

წარმოდგენას ხალხი ნაკლებად დაესწრო. **ა. მეგრი.**

დეპეშები

(დეპეშათა აგენტ. სააგენტოსაგან).

24 ოქტომბერი.

უცხოეთი.

ბუდაპეშტი. დეპუტატთა პალატაში სხდომის დროს შევიდნენ დარაჯები და ოპოზიციის მოსთხოვეს დარბაზი დაეტოვებინა. ოპოზიცია მთავრობის პარტიას მექრთამეობას აბრალებდა. ოპოზიცია დარბაზიდან გავიდა.

კოშუტი ძლიერ ავად არის.

ტოკიო. ჯავშნოსანთა ალლუმის დროს ჩაიძირა ორი ნაღმოსანი.

სტამბოლი. გააუქმეს სტამბოლის სამხედრო გუბერნატორის თანამდებობა. ჯემალ-ბეი სტამბოლში მყოფ კორპუსის უფროსად დაინიშნა.

ჩამოვიდა გერმანიის სამხედრო მისია. მოჰყავთ 70 კაცს, რომელთაც სხვა და სხვა ჯარის რაზმში გაანაწილებენ.

ვაშინგტონი. ოფიციალურის ცნობით ყველა სახელმწიფოების წარმომადგენლები მიმართავენ ჩრდილოეთ ამერიკის შტატებს, რათა მექსიკაში კონსტიტუციონური მართველობა შემოიღოს.

ლონდონი. პეტერბურგის სააგენტოს სიტყვით ინგლის-გერმანიის შეთანხმება მარტო სპარსეთის და ბაღდადის რკინის გზის გაყვანის საქმეს არ შეეხება. გერმანია აღიარებს ინგლისის გავლენას სამხრეთ სპარსეთში. ინგლისი და გერმანია შეთანხმდნენ აფრიკაში რკინის გზის გაყვანისა და კოლონიის საქმეების თაობაზედაც. შეთანხმებას მოკლე დროში ორივე მხარე ხელს მოაწერს.

პეკინი. პრეზიდენტის ბრძანებით გომინდანის პარტია სახელმწიფოსთვის მავნე ორგანიზაციად არის აღიარებული. სამხრეთის რევოლუცია ამ პარტიის საქმე იყო, რომელსაც ცენტრალურ მთავრობის გადაყენება სურდა. პარტიის წევრები სამშობლოს მტრებად არიან გამოცხადებული. ორთავ პალატის ამ პარტიის დეპუტატები გადაყენებულ იქნებიან და სამშობლოში გაიგზავნებიან.

ვენა. ოსმალეთმა შეიძინა მაჰომედის ქვედა საცმელი, რომელიც წინად სელიმ სულთანის მეჩეთში იყო დაცული.

რომი. სოციალისტ კამპანოლის და კონსტიტუციონალისტ გეეტანის არჩევნებში დამარცხების გამო, კომუნალურ საბჭოს წევრთა უმრავლესობა გადადგომას აპირებს.

პარიზი. ჩამოვიდა კოკოვცევი.

მილანი. მარსელიდან მიმავალი ჩქარი მატარებელი დაიმსხვრა. მოკლულია 15, დაშავდა 14 კაცი.

პეკინი. ხელი მოაწერეს რუსეთ-ჩინეთის დეკლარაციას მონგოლეთის საკითხის გამო. აღიარებულია მონგოლეთის ავტონომია ჩინეთის მფარველობით, ხოლო ჩინეთი იქ ჯარს ვერ გაგზავნის, ვერც სავაჭრო საადმინისტრაციო და სხვა შინაურ საქმეებში ჩაერევა.

ვენა. უკრაინელების და პოლონელების მოლაპარაკება გალიციაში საარჩევნო რეფორმის შემოღების თაობაზე ვერ მოხდა. უკრაინელებმა დღეს პალატაში ობსტრუქცია მოახდინეს.

სოფია. ვარნის ნაციონალური საზოგადოება ბერძნების საქონლის ბოიკოტს ქადაგებს.

მიუნხენი. მინისტრ-პრეზიდენტმა პალატის თავმჯდომარეს გადასცა მეფის ბრძანება პალატაში წასაკითხავად. ბრძანებაში ნათქვამია: რადგან იმედი აღარ არის, რომ მეფე ოტტონი შესძლებს ოდესმე ქვეყნის მართვას, ამიტომ რეგენტობა უქმდება და ტახტი დაცლილად ითვლება. მეფე ლიუდოვიკო მესამემ აცნობა ეს ამბავი მეზობელ დიდ მთავრებს და წინადადება მისცა ტახტი დაიჭირონ. გამოქვეყნებულია ბრძანება, რომ ლიუდოვიკო მესამეს ტახტზე ასვლით ოტონის სამეფო პატივისცემას არავინ შეეხება.

რომი. ბერძნებმა იტალიასა და ავსტრო-ჰუნგრეთს საპასუხო ნოტა გადასცეს და თავის მხრით საზღვრების აღმნიშნელ კომისიის წევრებს ამტყუნებენ.

რუსეთი.

მოსკოვი. ყაზანის გზაზე მატარებელი დაიმსხვრა. მოკლულია 14, დაშავებულია 15 კაცი.

კამენეც-პოდოლსკი. შაქრის ქარხნის მეარტელეს თავს დაესხნენ ბოროტ-გამზრახველნი და 500 მანეთი წაართვეს. მძარცველებმა მოჰკლეს სამი დარაჯი და ერთი დასჭრეს, რომელიც მათ დაედევნა. მძარცველები დასჭრეს, მაგრამ ტყეში მიიმალნენ.

ვილნო. დეპუტატად ყოფილ ბულატს უარი უთხრეს ნაფიც-ვექილთა წრეში ჩარიცხვის თაობაზე.

ოდესა. ოდესაში მიმავალი პეტერბურგის საბარგო მატარებელი დაიმსხვრა. დაშავდა მძიმედ ორი კაცი.

ბეილისის საქმე.

კიევი. დარბაზი ხალხით არის გაჭედილი. მსაჯულის ყველა ადგილი, დაჭერილია. სხდომა გაიხსნა პირველ საათსა და 20 წუთზე. სიტყვა ეკუთვნის ბრალმდებელს. ბრალმდებელი მიჰმართავს ნაფიც მსაჯულთ და აღნიშნავს თავის ნაკისრ მოვალეობის სირთულეს: თქვენი პასუხის გება კი, ნაფიცნო მსაჯულნო უფრო რთულია, უფრო ძნელია: მთელი თვის განმავლობაში თქვენ მოკლებულნი იყავით თავისუფლებას, დაშორებულნი იყავით ოჯახს და თქვენს საქმეს, რათა ამ დახშულ დარბაზში აგემუშავებინათ მთელი თქვენი გულისყური აუარებელ მასალის შესასწავლად. მაგრამ, მსაჯულნო, ქვეყანა დაასებს თქვენს უანგარო შრომას, ჯილდოდ თქვენ ჰპოვებთ ნუგეშს, რომ ემსახურებოდით როგორც მოქალაქენი მართლმსაჯულების საქმეს. თქვენმა ბაგემ უნდა წარმოსთქვას სიტყვა, რასაც მთელი რუსეთი მოუთმენლად ელის, ეს იქნება სიტყვა სიმართლისა: ჩვენს თვალწინ მხილდება საოცარი, გაუგონარი ბოროტმოქმედება. რუსეთმა ამ ცოტა ხნის წინად განვლო რევოლიუციის ხანა, ხანა მღელვარებისა, რაიც სისხლით აღინიშნა ისტორიაში. წლიდან-წლამდე ბოროტმოქმედებანი ერთი-ერთმანეთზე უუსაშინელესი იყო: გარნა იუშჩინსკის მოკვლა ამ სისხლით მოცულ ეპოქის ფონზე უფრო მკაცრად, უფრო უუსაშინელესად გამოიყურება. შუადღისას რუსეთის უძველეს ქალაქში შეპყრობილ იქმნა უდანაშაულო ბავშვი. იგი იპოვნეს სისხლით დაცლილი და დამხრჩვალი. მიუხედავად იმისა, მკვლელი ბეილისია თუ სხვა ვინმე, საშინელი თავზარი ეცემა ადამიანს ამ საქმის გაგონებაზე. ამ საქმეს გულდამშვიდებით ვერ მოვეპყრობით. დანაშაულობის მხრივ ეს საქმე მსოფლიო მნიშვნელობას იღებს. მთელი ღვთის მორწმუნე მსოფლიო უნდა შეძრწუნდეს ამ ამბით, მაგრამ იგი გართულდა ომიანობით, კონსტიტუციებით. ქვეყნისთვის ანდრიუშა უცხოა, მივიწყებული. საქმე მსოფლიო ხასიათს იღებს იმიტომ, რომ დამნაშავის ადგილი უჭირავს ებრაელ ბეილისს. საკმარისი იყო ებრაელი ბეილისი ჩათრეულიყო ამ საქმეში და მთლად მთელი მსოფლიო შეინძრა, ალაპარაკდა. ამიტომაც არის, რომ სასამართლოში იმყოფებიან მეცნიერების და ადვოკატურის მნათობნი. ბრალმდებელი ადარებს ბეილისის და დრეიფუსის საქმეს და აღნიშნავს, რომ დრეიფუსითაც მიტომ დაინტერესდა მთელი ქვეყანა, რომ იგიც ებრაელიაო. ბრალმდებელი უარჰყოფს იმას, ვითომც ებრაელთათვის სამძიმო იყოს ეს საქმე, რადგანაც ბრალსა სდებენ არა მთელ ებრაელობას, არამედ კერძო დამნაშავეებს, ბოროტგამზრახველებს. ებრაელობა შიშობს ამ საქმით მათ არ მოეცხოთ ჩირქი, შესაძლებელია ექსცესები. მთავრობა ყველა ქვეშევრდომს იცავს. უსაფუძვლოა ებრაელთა აწიოკების შიში. ებრაელებმა ამ საქმის გარშემო მთელი აურ-ზაური შექმნეს. დამნაშავედ რუსი რომ ყოფილიყო, მაშინ ასეთ მოძრაობას ადგილი არ ექნებოდა. როგორც კი მოკლულის გვამი იპოვნეს, ებრაელებმა ყოველივე ღონისძიება მიიღეს, რათა საქმის ვითარება დაეხლართათ, გაერთულებინათ. სრული ჭეშმარიტება სთქვა სიკორსკიმ, რომ, როგორც ყოველთვის, ამ საქმეშიაც გამოჩნდა უხილავი დირიჟორი, ვინც სცდილობდა საქმისთვის ყალბი მიმართულება მიეცა, გამოჩნდა უხილავი სული, რომელიც ოქროს აფრქვევს, რათა საქმე დაეჩრდილა, მიეჩქმალნა. ჰსცდილობდნენ რა დაეჩრდილათ საქმე, მათივე მეცადინეობით გამოძიება მიადგა ზაიცევის სახლს, სადაც მკვლელობა მოხდა. ვიდრე ვისიმე დანაშაულობას დავამტკიცებდეთ, საჭიროა ეჭვისგან ვიხსნათ ზოგიერთი მოწმენი. ბრალმდებელი ახასიათებს მოკლულ ანდრიუშას ცხოვრების პირობებს. იგი აღიზარდა ღარიბ ოჯახში. ობლად დარჩენილი დააწვა კისრად თავის დედას, რომელიც დღიურის შრომით ჰკვებავდა მას. ანდრიუშა ოჯახში საყვარელი ბავში იყო თავისი მორჩილებით. იგი ძლიერ მგრძნობიარე ბავში იყო. ბრალმდებელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს იმ გარემოებას, რომ ანდრიუშა მღვდელმსახურებაზე ოცნებობდა. შემდეგ ბრალმდებელი მოუთხრობს სასამართლოს ანდრიუშას ცხოვრების უკანასკნელ სამ დღეს, თუ როგორ დაიკარგა იგი, რა წვალება და ტანჯვა განიცადეს მისმა მშობელმა და ნათესავებმა ჯერ მისი დაკარგვით, შემდეგ მოკვლით და ბოლოს იმ ეჭვით, რაიც მის ნათესავებზე იყო მიტანილი. ისინი მოკლებულნი იყვნენ საშუალებას დასწრებოდნენ თვის საყვარელ შვილის დაკრძალვას. ბრალმდებელი ლაპარაკობს პირველ ვერსიაზე, ვითომც მკვლელობა იუშჩინსკის ნათესავებმა ჩაიდინეს. პირველად გამოძიების მოხდენა მიენდო აწ უკვე ყოველივე განსაკუთრებულ ღირსება ჩამორთმეულ მიშჩუკს. მიშჩუკს წარმოუდგენლად მიაჩნდა, რომ მეოცე საუკუნეში შესაძლებელი ყოფილიყოს რიტუალური მკვლელობა, მან ეჭვი მიიტანა ნათესავებზე. ბრალმდებელი მიშჩუკის მოქმედებაში ჰხედავს წინასწარ განზრახვას—მისთვის უფრო ხელსაყრელი იყო წასულიყო სლაბოდაში, ვიდრე გამოძიებისთვის მიეყო ხელი. აქ იკითხავენ, რას აკეთებდა მაშინ გამომძიებელიო? ბრალმდებელი ამტკიცებს, რომ გამომძიებელმა მიიღო ყოველივე ზომა. საქმის შეფერხება ჰხდება არა სასამართლოს მიერ, არამედ პოლიციისა. როდესაც ბრალმდებელი და გამომძიებელი დარწმუნდნენ, რომ მიშჩუკი ამ საქმეში სანდო ვერ არის, მათ გამოიწვიეს მაძებარ პოლიციის აგენტი კუნცევიჩი. ამისაგანაც არაფერი გამოვიდა. მაისამდე საქმის ვითარება ასეთი იყო. განთავისუფლდა თუ არა ლუკა, მაშინათვე „კიევსკი მისლის“ მეორე თანამშრომელმა ორლინსკიმ საქმეს მეორე ყალბი მიმართულება მისცა. მაშინათვე სცენაზე გამოჩნდა კრასოვსკი.

ბრალმდებელი დარწმუნებულია, რომ კრასოვსკიმ უკვე ამხილა დამნაშავენი, გარნა სასამართლოს ამის თაობაზე არაფერს უებნება. ბრალმდებელი თანდათან აღნიშნავს თუ რა გვარად მხილდებოდა ნათესავების უდანაშაულობა. კრასოვსკის მინდობილი ჰქონდა საქმის გამოძიება დამოუკიდებლივ ეწარმოებინა. იგი არ იყო მოვალე გამომძიებლისთვის მოეხსენებინა საქმის ვითარება. მაისში მიშჩუკის გამოძიება გრძელდებოდა. ივანოვის გამოძიებაში გარეშენი იღებდნენ მონაწილეობას, უმთავრესად ესენი საქმის გამოძიებას კი არ უწყობდნენ ხელს, არამედ უფრო აფერხებდნენ და ართულებდნენ. გარეშე თანამშრომლებში აღმოჩნდნენ ზოგიერთი ახალგაზდანი, რომელნიც გულწრფელად იყვნენ დაინტერესებულნი ჭეშმარიტების გამოძიებაში. ასეთი იყო გოლუბევი. კრასოვსკის გამოძიებისთვის ყოველგვარ ვერსიებს იგონებდნენ, მაგალითად „პოს. ვერსიის“ რედაქტორმა განაცხადა, ვითომც იუშჩინსკი ციგნების მოკლული იყოს, მათის სისხლის დოგმატის მოთხოვნილებისამებრ. ბრალმდებელი ნაფიც მსაჯულთა ყურადღებას შემდეგ გარემოებაზე აქცევს: მონათლული ებრაელი ამბობს, რომ ციგნები თვისი ცრუმორწმუნოებით სისხლსა ჰხმარობენო; თუ კი ციგანთა შორის არსებობს ასეთი ცრუმორწმუნეობა, რატომ არ შეიძლება ებრაელთა შორისაც არსებობდეს? შემდეგ თავსა ჰყოფს ბიბლიური ლეგენდა მავთულებზე. ვილაც რეპეცკაიას ქუჩაში მოუკრავს ყური მთვრალი დედაკაცის ლაპარაკისათვის ბავშვებზე და მავთულებზე. მავთულის გამო ვითომც ჩხუბი მოსვლიათ ვერა ჩებერიაკსა და ანდრიუშას. გამოირკვა, რომ მავთულების ამბავი სრულიად ტლანქი სიცრუეა. ივლისში კრასოვსკი ზაიცევის კარმიდამოში მოჰყვა. ებასა მამულის მოურავს დუბოვსკოვს, გაჩხრიკა რამდენიმე ბინა, სხვათა შორის, ბეილისისაც. ბეილისისთვის საეჭვო არაფერი უპოვნიათ. მიუხედავად ამისა 23 ივლისს, ბეილისი დააპატიმრეს; 3 აგვისტოს ბეილისს ჩვენება ჩამოართვეს. 29 ივლისს კრასოვსკიმ ბეილისის საზარალოდ აჩვენა. კრასოვსკიმ ამ საქმეში ისტორიული როლი ითამაშა; მან გამოარკვია, რომ ანდრიუშა არც გამოქვაბულში და არც სლაბოდკაში არ მოუკლავთ: ანდრიუშა ბავშვების საცურაოზე სეირნობდა; ბეილისმა ბავშვები დააფრთხო, ანდრიუშა დაიჭირა და ფეჩისკენ გაიტაცა; ბრალმდებლის ფიქრით კრასოვსკიმ ბეილისი იმიტომ კი არ შეიპყრო, ვითომდა იგი დამნაშავე იყოს, არამედ იმისთვის, რომ ეჩვენებინა ებრაელთათვის დანაშაულობა უკვე გამჟღავნებულიაო; კრასოვსკი გამოძიებაში ორმაგობდა. გამომძიებელს ისეთ ჩვენებას აძლევდა, რითიც ბეილისის დანაშაულობა მტკიცდებოდა, ბრაზულსკი ეუბნებოდა, სრულიად უდანაშაულო კაცი შეიპყრესო. შემდეგ ჩებერიაკი დააპატიმრეს. კრასოვსკი ჩებერიაკის დაპატიმრებას ბეილისის საქმეს უკავშირებს. ბრალმდებელი დაწვრილებით მოუთხრობს სასამართლოს სხვადასხვა ხრიკებს, რითიც საქმის დაჩრდილვას სცდილობდნენ დაინტერესებულნი პირნი.

ჩებერიაკზე გამოგონილი ვერსია გამტყუნდა. აქედან იწყება ებრაელთა მხურვალე მონაწილეობის მიღება გამოძიებაში. ისინი ჰგრძნობდნენ ბეილისის დანაშაულობას და ყოველგვარ ზომებს იღებდნენ საქმე აერიათ. რადგანაც რუსეთის პრესას მხოლოდ სახელი ჰქვიან „რუსული“ და იგი სავსებით ებრაელთა ხელშია, ამიტომაც იგიც სცდილობს საქმეს ჩრდილი მიაყენოს.

მალიცკაიამ აგვისტოში არაფერი იცოდა ამ მკვლელობის შესახებ, თუმცა ჩებერიაკის ბინის ქვეშ სცხოვრობდა, 10 ნოემბერს კი გამოუცხადა პოლიციას, რომ მკვლელობა ჩებერიაკის სახლში მოხდაო. მალიცკაიას ასე ვილამაც ჩააგონა. ჩებერიაკს მისდგომიან, წინადადებას აძლევდნენ, რომლისამე მოწამედ იყოს, ეუბნებიან შენს თავზედ მიიღე მკვლელობაო, აძლევენ ფულებს. დეკემბერში მოხდა კონსპირატიული წასვლა ხარკოვში, „გრანდოტელში“ მას შეხვდა მარგოლინი, დიდი კაცი ხავერდის ტანისამოსით, იგი თავის თავს სახელმწიფო სათათბიროს წევრად აჩვენებდა. მოუსმინა რა მას მიფლესა და სხვების ამბავი, ის უკმაყოფილო დარჩა და წინადადება მისცა თავისს თავზედ მიეღო დანაშაულობა. ამბობენ, რომ არ შეიძლება ჩებერიაკს დავუჯეროთ, მაგრამ ამ ადგილას მისი ჩვენებანი გამართლდნენ. ბრალმდებელს საეჭვოდ მიაჩნია 40,000 მანეთი, რომელსაც ჩებერიაკს აძლევდნენ, რომ თავის თავზედ მიეღო დანაშაული, მაგრამ აქვე ამბობს, რომ არ ვიცი ამისთანა შემთხვევაში რამდენს აძლევენ ხოლმეო. რაც უნდა სასიამოვნო იყოს ოქროს წკრიალი, მაინც ყველა არ ემორჩილება მას, როცა საქმე კატორგამდის მიდის. ჩებერიაკი არ დასთანხმდა. 22 დეკემბერს ბრაზული მიდის გამომძიებელთან და ეუბნება: ძალიან შესანიშნავი ცნობები მაქვს ამ საქმის შესახებო. გამომძიებლის ბინაზედ მოხდა ბრაზულსა და ვიგრანოვის შეხვედრა ბრალმდებელთან. ბრაზული არაფერს ცნობებს არ იძლევა, ხარკოვში წასვლაზედ ხმას არ იღებს და სთხოვს მიფლე დაიჭირონ. როცა ბრაზულმა გაიგო, რომ მისი ნაამბობი დაუჯერებელი გამოდგა, ის 10 იანვარს 1912 წელს ბეილისის საქმის შესახებ საბრალმდებლო ოქმის დამტკიცების ორი დღის წინად აძლევს ბრალმდებელს ყალბ განცხადებას, მიფლესა, ნაზარენკოსა და ნეჟინსკის შესახებ. ბრაზულმა თითონ განაცხადა, რომ არა სჯეროდა ის, რასაც აცხადებდა, მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა—ბეილისის განთავისუფლება. იმისთვის საჭირო იყო, საქმე [illegible] ხელმეორეთ გარდაეცით ის გამოსაძიებლად. ბრაზული ამბობდა, რომ იმის ებრაელების დაქირავებულს ეძახიან. სამწუხაროდ, ჩვენ ბრაზულები ბლომადა გვყავს და ისინი მზად არიან ებრაელების ფულებით ისარგებლონ.

გაგრძელება ხვალ.

წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ შემდეგ წერილს თქვენ პატივცემულ გაზეთში. ვუცხადებ რა გულითად მადლობას „ახალი კლუბის“ მამასახლისთა საბჭოს თეატრის დარბაზის მუქთად დათმობისთვის, და აგრედვე ყველა იმ პირს, რომელმაც ხელი შემიწყო ქართულ თეატრში 12 ოქტომბერს კონცერტის გამართვაში, არ შემიძლია მწუხარება არ გამოვსთქვა იმის გამო, რომ ბევრმა მსახიობმა, რომელთაც თანხმობა განაცხადეს აღნიშნულ კონცერტში მონაწილეობის მიღებაზე, ამა თუ იმ მიზეზით, თავისი დაპირება ვერ შეასრულეს და მით მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩამაყენეს პატივცემულ საზოგადოების წინაშე, რომელმაც საშუალება მომცა პეტერბურგში წასვლისა კონსერვატორიაში შესასვლელად. **მ. დოლიძის ასული.**

ბატონო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით მადლობა ვუძღვნათ შემდეგ რედაქციებს: „განათლებისას“ „კლდისას“ „ნაკადულისას“ „ჯეჯილისას“ და „სიმართლის ხმას“ რომელთაც კეთილი ინებეს და თავიანთი გამოცემანი წარსული წლის განმავლობაში უფასოდ დაგვითმეს. იმედია ამ წლის განმავლობაშიც არ შესწყვეტენ თავიანთ გამოცემების უფასოდ გზავნას. აგრედვე გულითად მადლობას ვუძღვნით „იმერეთის“ რედაქციას გაზეთის ნახევარი ფასად დათმობისათვის.

პეტერბურგის ფსიხო-ნევროლოგიურ ინსტიტუტთან არსებულ ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის გამგეობა.

რედაქტორი **ა. ჭუმბაძე.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**

№ 4711
პოხიერი პუდრი
კანს ხავერდივით არბილებს და ახალგაზდობის ელფერს აძლევს.
ფერ. მიულგენსისა პარფიუმერ. კელნი რ განყოფ. რი- გაში.
კოლოფი 30 კაპ.
იყიდება ყველგან.
Метцль. 357871.
1404

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 სათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე
გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9.
იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

საგლეხო საქმეთა ვექილი
ყოფილი მოწრიგებელი მოსამართლე არდგენს საკასაციო და სააპელაციო საჩივრებს და სხვა. სწერს გლეხთა საქმეების თხოვნას, აძლევს დარიგებას, პირად-დ კისრულობს გლეხთა საქმეების წარმოებას, გაიგებს საჭირო ცნობებს. გამოსასყიდ ოპერაციების წარმოება. მიიღებს ყოველ-დღე საღამოს 5—8 საათამდე. ტფილის, ხოლოლაკი, გუდოვიჩის ქუჩა, № 14, ბინა მეორე.
737

მემ ნავასარდიანის
პირველი კერძო სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დილით:
„606“ და „914“
11—12 ს. შეზხაპუნება კონსულტაციურად.
ნ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ნ. გ. აგახაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საზებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინა: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტიხანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი ავადმყოფ და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი ო. ვ. ტერ-დავიდოვისა 1—2 ს. საზებიო და ქალების ავადმყ.
კ დ. გურგენიძე. 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერეოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.
საღამოთი:
მ. გ. ავეტიხანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინისა დოქტორი ნ. ა. ნავასარდიანი.
1004

მუხრანის ქუჩაზე, სადაც წინად „კავკაზის“ ნომრები იყო, გაიღო
საოჯახო ნომრები
შენობა ახლად შეკეთებულია და განათებულია ელექტრონით. ავეჯეული სულ ახალია ნომერი ღირს: 50 კ.—დან 1 მანეთამდე.
თვიურებს დიდი შეღავათი. 1552

გამომცემლობა „მწიგნობრობის ქვეყანა“
ამით აცხადებს, რომ კომისიონერთა და ხელის-მომწერთა თხოვნით
„ვეფხის ტყაოსანზე“
ხელის მოწერა გაგრძელდება კიდევ ერთი თვით, სახელდობრ, 26 ნოემბრამდე, ფული და კორესპონდენციები გაეგზავნება რედაქციას შემდეგი მისამართით: Тифлисъ, Кахгероiская 29. Ю. И. Абуладзе. 1495

ოქროს საათი ხრონომეტრი 56 კაპიკით
200 მანეთიან ოქროს საათის ნაცვლად გირჩევთ შეიძინოთ ხრონომეტრი, მხოლოდ 4 მ. 70 კ., რომელიც თავის ფორმით და სილამაზით არ ჩამოუვარდება ოქროს საათს, რადგანაც საუკეთესო სპეციალისტი ძნელად გაარჩევს მას ნამდვილ ოქროსაგან. საათის მოყვანილობა ფრიად პტყელია, ვერცხლის მანეთიანის სისქისა; გაკეთებულია ნამდვილ ამერიკულ ოქროთი; იგი არა ჰკარგავს თავის პირველ-ყოფილ სახეს, ორიგინალურ სურათებით. (ნახეთ სურათი). საათი ხრონომეტრი კაცისა ან ქალისა, გაარჩევა თვისი სისწორით, ნამდ. ანკერ. 40 საათში ერთხელ იმართება, 15 ქვიანია, მსურს რა გავავრცელო ჩემი ფირმა პრეისის სახით ყოველ საათთან ერთად უფასოდ ვგზავნი 20 ძვირფასს ნივთს: 1. ნამდვილი ამერიკული ოქროს ძეწკვი. 2. შინა კინემატოგრაფი ლენტის სახელით, 3. საათის ზანგის ბუდე, 4. სათის ქურდებისაგან გასაფრთხილებელი, 5—8. ჯიბის ტყავის ბუდე გზაში საჭირო ნივთებისათვის, თან ოთხი საჭირო ნივთი იქნება, 9. საზღვარ-გარეთ ნაკეთები პორტმანი 7 განყოფილებით, 10. შემკვეთელის გვარის, სახელისა და მამის სახელის ბეჭედი, 12. ბეჭდვისთვის სადებავი ფლაკონი, 12. ბეჭედი ნამდვილ ამერიკულ დუბლეთი, 13. პარიზული პლასტოგრამა, რომელიც დანამდვილებით აჩვენებს ბუნებრივ ყოველნაირ სანახაობას, 15—19. ექვსი საინტერესო სურათი მასთან ერთად და 20. თეატრის ბინოკლი 4 ახრომ. ჩვეულებრივი თომის მინით, რომელიც შორეულ საგნებს ფრიად ახლო აჩვენებს. მხოლოდ 4 მ. 70 კ., ორი საათი 9 მ. 30 კ., ესეთივე უხმო საათები 5 მ. 70 კ., ორი 11 მ. 20 კ. პასუხს ექვსი წლით ვაძლევ; ვგზავნი ნაღდ ფულით უძველ. გაგზავნა 40 კ., ციმბირში 75 კ. მისამართი:
საათების საწყობი: И. Штрумфельдъ, Варшава, Электоральная 11, отд. 54.
Метцль, 21663. 1175

მივიღეთ ცივადი-მატარებლით პეტერბურგიდან
თევზის მრეწველნი ძმ. ძეგველოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.
ამურის წითელი ხიზილალა (კეტოვი), სიგი, დვინის ორაგული, გრუზდი, ბრუსნიკა და სხვ.
აგრეთვე იყიდება მაილოვის ხიზილალა
კოლოფით და ხმელი სოკო. 1500

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.